ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



№ 36 (104) 13 ოქტომბერი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

## პაატა ზაქარეიშვილი: „აგვისტოს ომში ამერიკელებმა სააკაშვილი რუსეთის სატყუარად გამოიყენეს" 6



## ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4



გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"



სტენლი და სტენლი 12

## განმუხური დღეს ის ნაღმია, რომელზეც შეიძლება კიდევ ერთხელ აფეთქდეს არა მხოლოდ სამეგრელო, არამედ სრულიად საქართველო 2



## 5 "კოლხები – ქართველების წინაპრები"

ანზორ შონია




3

## ამერიკაში მილიარდერები კოტრდებიან

## სამეგრელოს ღირსეული შვილები 7

## მეტალურგიული წარმოების ნაშთები 8




9

## იქნებ მართალი არა ხართ?.. 3

(ბატონო მინისტრო)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განმუხური დღეს ის ნაღმია, რომელზეც შეიძლება კიდევ ერთხელ აფეთქდეს არა მხოლოდ სამეგრელო, არამედ სრულიად საქართველო

მაგდა კლდიაშვილი

*შარშან აგვისტოში გადამწვარი განმუხურის ბანაკი, რომლის მშენებლობაშიც თავის დროზე სახელმწიფომ ორმილიონნახევარი ლარი დახარჯა, წელს შემცირებული მასშტაბით ისევ განახლდა. ცოტამ თუ იცის, რის გადატანა მოუხდათ ბანაკში მყოფ „პატრიოტებს" აგვისტოს მოვლენების დროს. რამდენად მიზანშეწონილია, ერთი წლის შემდეგ, განმუხურში ბანაკის განახლება და აქვს კი სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტია?!*

2006 წელს 600 კაცზე გათვლილი ბანაკის მშენებლობაში სახელმწიფომ ორ მლიონ ლარზე მეტი დახარჯა, წელს გადამწვარი ბანაკის აღდგენა სახელმწიფოს მილიონ 200 ათასი ლარი დაუჯდა. ბანაკი ამჯერად მხოლოდ 200-მდე დამსვენებელს მიიღებს. საინტერესოა, ფიქრობს თუ არა სახელმწიფო, რომ ტორეადორის პოზიციაშია და, რეგიონში აქტიური სამხედრო პროცესების ფონზე, ამ ბავშვების სიცოცხლით რისკავს? უსაფრთხოების გარდა მნიშვნელოვანი მეორე საკითხიცაა – ქვეყანაში უამრავი სოციალური პრობლემა და დევნილია. პატრიოტთა ბანაკის აღსადგენად ამდენი ფულის დახარჯვას, იქნებ, კონფლიქტის ზონიდან საკუთარი სახლებიდან გამოძვებული მოსახლეობისთვის თავშესაფრის მიცემა ჯობდა?!

განმუხურის ბანაკის ლიდერები იხსენებენ, რომ შარშან, აგვისტოში, ევაკუაციის გეგმა არ ჰქონდათ და კრიტიკულ მომენტში მოფიქრებული გეგმით ცდილობდნენ ბავშვების დაწყნარებასა და ტერიტორიიდან მათ გაყვანას. თათია ბოგვერაძე იხსენებს, რომ მიუხედავად საომარი მოქმედებებისა, ბანაკში დაგეგმილი ღონისძიებები არ შეჩერებულა. **„ბოლო მომენტამდე არ გვჯეროდა, რომ საფრთხე გვემუქრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გვესმოდა ფოთი როგორ იბომბებოდა, მაინც გვჯეროდა, რომ ჩვენამდე ვერ მოვიდოდნენ. მხოლოდ 8 აგვისტოს ატყდა პანიკა, ამბებს ძირითადად ტელეფონით ვიგებდით, რამდენიმეს მშობელმაც ჩამოაკითხა, 8 აგვისტოს ღამე მიწაზე გავათენეთ, დილით შეიკრიბნენ ბანაკის უფროსები და ლიდერი ბიჭები, ევაკუაციის ალტერნატიულ გზებზე მოითათბირეს. სხვა გზა არ იყო, ენგური უნდა გადაგვეცურა და სოფლებისთვის შეგვეფარებინა თავი. ასეთი იყო ექსპრომტად მოფიქრებული გეგმა. როგორია შუაღამისას 600 ბავშვის მდინარეზე გადაყვანა? ეს გეგმა თავიდანვე განწირული იყო. ბანაკში სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებული ჩამოვიდა, გვითხრა, რომ დილით ავტობუსებით წაგვიყვანდნენ იქიდან. მეორე დილით ბანაკი დაიცალა. ლიდერები ბოლოს გავედით ტერიტორიიდან, იმ დროს რუსული ვერტმფრენები ძალიან დაბლა დაფრინავდნენ, თითქოს გვაფრთხილებდნენ, რომ დროზე გავცლოდით იქაურობას. რიკოთი გადაკეტილი იყო, ზოგი ავტობუსი მოაბრუნეს. თავიდან ვარციხის ბანაკში უნდა დავბანაკებულიყავით, მაგრამ გზა გაიხსნა და აქეთ წამოვედით. გორი დაბომბილი დაგვხვდა, ერთ კვირაში განმუხურიც გადაწვეს".**

პატრიოტული ბანაკები წელს, 1 ივლისს, გაიხსნა, განმუხურის ბანაკი კი – მოგვიანებით, 5 აგვისტოს. ამჟამად ბანაკში მეორე ნაკადია. რამდენად არიან დაცული ტერიტორიაზე მყოფი დამსვენებლები და პერსონალი, ამის გასაგებად ჩვენი კოლეგები საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილეს – ბატონ სულხან სიბაშვილს დაუკავშირდნენ. სიბაშვილი განმუხურის ბანაკის უფროსი იყო 2006 წელს, ამჟამად სამინისტროში პატრიოტულ ბანაკებს კურირებს. მისი განცხადებით, განმუხურის ბანაკი გაზეთში დასაწერი თემა არაა.

– ბატონო სულხან, შარშან ბანაკიდან 600 ბავშვი რუსული ბომბების ფონზე გაიყვანეთ, არც ევაკუაციის გეგმა არსებობდა. წელს ბანაკი ისევ გაიხსნა. აქვთ თუ არა იქ მყოფ დამსვენებლებს უსაფრთხოების გარანტია და **„უფრიალებს"** თუ არა წითელ ნაჭერს საქართველო რუსეთს?

– ვინ გითხრათ, რომ ევაკუაციის გეგმა არ იყო? მაშინ მშვიდობიანად მოხერხდა ბავშვების გამოყვანა, დაცულები იყვნენ შარშანაც და წელსაც. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს უსაფრთხოების გარანტია აქვს. ბანაკის ტერიტორიაზე დგას დაცვა. ვერ გავიგე, რა სტატიას ამზადებთ. ეს ის თემა არაა, რომელზეც უნდა ილაპარაკოთ. ჩვენ არავის **„ვუფრიალებთ"** წითელ ნაჭერს. თუ მეტი გაინტერესებთ, სამართალდამცავებს მიმართეთ, – აი, ასე მოკლე და ძუნწი ინფორმაცია მოაწოდა ჟურნალისტებს ბანაკის ყოფილმა უფროსმა, ერთი სიტყვით, ამ თემაზე საუბარი არ ისურვა.

საინტერესოა, როგორ დაიცავდა და დაიცავს რამდენიმე სამართალდამცავი **„რუსული ჩექმისგან"** ბანაკში მყოფ პატრიოტებს, თუმცა იმედი დავიტოვოთ, რომ ქართველი სამართალდამცავები ახლა მაინც მოწოდების სიმაღლეზე იმყოფებიან და არც ხელახალი აგრესიის საფრთხე არსებობს.

რა მნიშვნელობა და დატვირთვა აქვთ, საერთოდ, პატრიოტულ ბანაკებს? – ხშირად პატრიოტულ ბანაკებს პიონერთა ბანაკებს ადარებენ და ოპოზიციაც აცხადებს, რომ ბანაკებში **„მიშას აქტივისტები"** ისვენებენო. მე ამ პროექტის მონაწილე სამი წლის განმავლობაში გახლდით და ვეცდები, შიდა სამზარეულო მეტ-ნაკლებად გაგაცნოთ.

პატრიოტული ბანაკები, მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით, 2005 წელს გაიხსნა. რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ვარციხის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, სქურის, ყვავილნარის, ბაზალეთის, ხელვაჩაურის, საგარეჯოს, ბაკურიანის პატრიოტთა ბანაკები ფუნქციონირებდა, რამდენიმე მათგანი დაიხურა კიდეც. ამ პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ყოველწლიურად რამდენიმე მილიონს ხარჯავს.

ბანაკში უფროსებთან ერთად მუშაობენ ლიდერები. საამისოდ ახალგაზრდები ბანაკში წასვლამდე სპეციალურ მომზადებას ლიდერთა სკოლაში გადიან. ეს გია მაისაშვილის **„ლიდერთა სკოლა"** არ გეგონოთ, იგი საქართველოს ბავშვთა ფედერაციაშია. ის, რომ ბანაკი მხოლოდ **„ნაცმოძრაობის"** აქტივისტებითაა დაკომპლექტებული, სრულ სიმართლეს არ შეეფერება – უმეტესობა მაინც სოციალურად დაუცველი ფენიდანაა. უფროსობა, რასაკვირველია, მმართველი პარტიის ინტერესების დამცველია, მაგრამ ყველა ლიდერი – არა. ლიდერთა სკოლაში მოზადების შემდეგ გამოცდა ჩავაბარეთ, 9 ადამიანმა ყველაზე მაღალი ქულები ავიღეთ, რის შემდეგაც ნაციონალების სათაო ოფისში დაგვიბარეს, სადაც იგეგმებოდა, როგორ უნდა განახლებულიყო ბანაკი და რა უნდა შეცვლილიყო მომდევნო წელს, თუმცა იქ რაც ითქვა, არაფერი განოხრციელებულა, იდეები იდეებად დარჩა. 9 მონაწილიდან გასაუბრება ყველამ სათითაოდ გავიარეთ, როდესაც პარტიულობაზე მიდგა საქმე, მე ვუთხარი, რომ ჟურნალისტი ვიყავი და არასდროს ვიქნებოდი პარტიული, თუმცა კარგ პროექტებში სიამოვნებით მივიღებდი მონაწილეობას. 9 კაციდან 7 დატოვეს, მათ შორის მეც.

ჩემი ერთი კოლეგა ლაგოდეხის პატრიოტულ ბანაკში ისვენებდა. რომ ჩამოვიდა, ყვებოდა, რომ დილაობით ბავშვებს ხაზზე მოაწყობდნენ და „მიშა სააკაშვილს გაუმარჯოს!" აყვირებდნენო, ამიტომ სურვილი აღარ მაქვს მეორედ წავიდე ბანაკშიო. ლაგოდეხის ბანაკის უფროსი ირაკლი ნადირაძე სპორტისა და კულტურის დეპარტამენტში მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე. მე ორი წლის განმავლობაში სქურის ბანაკის ლიდერი ვიყავი და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მსგავსი რამ ჩვენს ბანაკში არ ყოფილა. ორი წლის წინათ განუხურში პატრიოტული ბანაკების ლიდერთა შეკრება მოეწყო, იგივე მიზნით, რითაც 7 კაცი დავდიოდით ნაციონალების მთავარ ოფისში. **„გამოცდა"** იქაც ჩაგვიტარეს, გარდა პირველისა, ტესტები პოლიტიკური შინაარსისა იყო – თუ რომელ პოლიტიკოსთან ან სახელმწიფო მოხელესთან ვისურვებდით მუშაობას, ვინ მიგვაჩნდა ყველაზე ძლიერ პოლიტიკოსად, ყველაზე ინტელექტუალურად და ა.შ. ლიდერების ნაწილი ამ ტესტს არასერიოზულად მიუდგა და ხუმრობით (მაპატიონ ლეიბორისტებმა) უმეტესობამ შალვა ნათელაშვილი ჩაწერა. ამის გამო ბევრი ლიდერი **„დაბრაკეს"**.

რაც შეეხება აქციებში მონაწილეობას, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის საღამოს, **„ნაცები"** რომ შეიკრიბნენ მერიასთან, მეც მომივიდა მესიჯი, რომ **„პატრიოტები"** მერიასთან ვიკრიბებით და მოდიო. იმ დღეს რუსთაველზე ვმუშაობდი, მოვლენებს ვაშუქებდი და დარბევამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, 10 წუთის დატოვებული მქონდა ტერიტორია, უკან რომ მივბრუნდი, ერთადერთი აღმოვჩნდი მამაკაცებში; რეზინის ტყვიებით ხელში მათ უკან მივყვებოდი და ვეკითხებოდი, თუ რას უკრავდნენ ტაშს. იმ დღეს ნატოს საინფორმაციო ცენტრის მიერ ორგანიზებული კონცერტიც იყო **„ლოკომოტივზე"**. ხალხი აქციაზე დადიოდა და ეს კონცერტი არ აინტერესებდა, მაშინაც მომივიდა მესიჯი, რომ კონცერტზე პატრიოტის ფორმაში გამოწყობილი მივსულიყავი. იმ დღეს ბევრი რამ შეიცვალა ჩემს წარმოდგენაში.

ორი წელია, რაც ეს პროექტი დავტოვე და მინდა, ყველას ვუთხრა, რომ მე არ ვარ **„ვინმე მიშას"** ან ზურას პატრიოტი, მე ჩემი ქვეყნის პატრიოტი ვარ და ამ ბავშვებსაც ნუ გადააქცევთ კონკრეტული პერსონების ლაქიებად.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ომის წლისთავზე, პატრიოტული ბანაკების გახსნას, ხომ არ ჯობდა, ის თანხა, რაც უნდა დაიხარჯოს ბანაკებში, რუსული ინტერვენციის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას მოხმარებოდა? რაც შეეხება განმუხურის აღსადგენად გამოყოფილ თანხას, ამ ფაქტს უკვე ოპოზიცია გამოეხმაურა და კულტურის სამინისტრო თანხების არამიზნობრივ ფლანგვაში დაადანაშაულა.

## შოუმანია

## დევნილები ჩინოვნიკების მიერ დატაცებული შემწეობის თანხას ითხოვენ

სამეგრელოს რეგიონში მყოფი დევნილების სახელით დევნილთათვის პატივცემულმა ადამიანებმა: ივანე ჟვანიამ, ალეკო ვეკუამ, გივი ხაბურზანიამ და არჩილ კვარაცხელიამ ორი წლის წინათ მიმართვა გაუგზავნეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. დევნილები მათთვის განკუთვნილი შემწეობის თანხის მიღებას მოითხოვდნენ. **„2000 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის დახმარების თანხა ჩინოვნიკებმა დაიტაცეს. ამას დაემატა 2003 წლის ოქტომბრის თანხაც. მთლიანობაში ჩვენზე გაუცემელმა თანხამ 3,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. ამასთან, საფოსტო ბანკი სახალხო ბანკს მიუერთეს (რომელმაც დევნილების დახმარების გაცემაზე უარი განაცხადა). ამის გამო საფოსტო ბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველი ქალბატონი მანანა ჩიტაია დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმეც. ძიების პერიოდში დევნილები დაბარებული ვიყავით სამხარეო პროკურატურაში, სადაც დეტალურად იქნა შემოწმებული თითოეული დევნილის საბუთები.**

**2004 წლის ბოლოს, ხელახალი გამოძიების მიზნით და შემწეობის თანხების ანაზღაურების პირობით, ხელახლა დაიწყეს აღრიცხვა. საბუთების შედგენა (ასლების გადაღება, მინისტრისთვის გასაგზავნი განცხადებებისათვის სპეციალური ბლანკი) 6-12 ლარი დაგვიჯდა. მიუხედავად ამისა, საქმეს დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია, დამნაშავეები კი არხეინად დასეირნობენ. ბატონო მიხეილ, უმორჩილესად გთხოვთ, მოახდინოთ სათანადო რეაგირება ჩვენ მიმართ განხორციელებულ უსამართლობაზე – ისედაც დატანჯულ დევნილებს, კიდევ უფრო გვავიწროვებენ, გთხოვთ, აგვინაზღაუროთ მითვისებული თანხა,"** – ნათქვამია მიმართვის წერილში.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2007 წლის 9 ოქტომბერს ეს წერილი საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გადაუგზავნა. 2007 წლის 25 ოქტომბერს მინისტრის მოადგილემ ირაკლი გორგოძემ ასეთი პასუხი გასცა დევნილებს: **„აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო შეისწავლის თქვენ მიერ მიუღებელი შემწეობის თანხების საკითხს და მიიღებს კანონით გათვალისწინებულ ზომებს".**

თითქმის ორი წელია, დევნილები ამაოდ ელოდებიან ამ **„გათვალისწინებულ ზომებს"**.

ამ წერილის ავტორებს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების იმედი აღარ აქვთ, მაგრამ ჩვენი გაზეთის საშუალებით ერთხელ კიდევ დააფიქსირეს მათი კანონიერი მოთხოვნა.

**ლადო ქირია**
**ზუგდიდი**

## „ჩვენთან, ამერიკაში, მალე დიქტატურა იქნება"

***ცნობილი ამერიკელი მწერალი გორ ვიდალი „The Times"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ირწმუნება, რომ ამერიკაში მალე დიქტატურა დამყარდება.***

83 წლის ვიდალი პრეზიდენტ ჯონ კენედისთან მეგობრობდა, მონაწილეობდა ომში, იყო სტუდია **„მეტრო-გოლდვინ-მაიერის"** სცენარისტი, ფიქრობდა პოლიტიკოსობაზე, 24 რომანი დაწერა და მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ესეისტად ითვლება. შარშან ჰილარი კლინტონის ბანაკიდან ობამასკენ გადაინაცვლა და ამით დიდი ხმაურიც გამოიწვია. ახლა კი აღიარებს, რომ ნანობს ამ ნაბიჯის გამო.

**„ობამა უჭკვიანესი ადამიანია მათ შორის, ვინც კი მრავალი წლის მანძილზე აგვირჩევია ამ თანამდებობაზე, მაგრამ გამოუცდელია. სამხედრო საკითხებში გარკვევა საერთოდ არ შეუძლია. ისე იქცევა, თითქოს ავღანეთი ჯადოსნური თილისმაა და ავღანეთის საკითხის მოგვარება ტერორიზმს მოსპობს",** – ამბობს მწერალი. მისი თქმით, ამერიკელები უეჭველად უნდა წავიდნენ ავღანეთიდან. ბუშის მიერ გამოცხადებული **„ტერორთან ბრძოლა"** კი, მისი აზრით, მხოლოდ პიარია.

**„მთელი ცხოვრება ვერ ვიტანდი მატყუარებს და ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელიც სავსეა სწორედ ასეთებით... ობამას სჯერა თავისი გენერლების. ის თვლის, რომ რესპუბლიკური პარტია მხოლოდ პარტიაა, სინამდვილეში კი ეს იდეოლოგიაა, რომელიც სხვა რასისა და რწმენის წარმომადგენლებისადმი ზიზღს ეფუძნება",** – ბრძანა მწერალმა და ამერიკელ კონსერვატორებს ფაშისტები უწოდა, შემდეგ კი დასძინა, ჰილარი უკეთესი პრეზიდენტი იქნებოდა, რადგან **„მან მეტი იცის მსოფლიოს შესახებ და იმის შესახებაც, თუ როგორ მოექცეს გენერლებს".**

**„ჩვენს დროში ამერიკა საშიშ იზოლაციონალიზმს განიცდის, არ ჰყავს ინტელექტუალთა ფენა და ლპება. მალე ჩვენთან სამხედრო დიქტატურა იქნება, რადგან სამხედროების გარდა ვეღარავინ გადაარჩენს ქვეყანას ქაოსისაგან. ობამას პრობლემა ისაა, რომ ის ზედმეტად განათლებულია და ვერ ხვდება, რამდენად გონებაჩლუნგი და უჭკუოა მისი აუდიტორია",** – ამბობს მწერალი.

1948 წელს ვიდალი პრესისათვის შავ სიაში აღმოჩნდა იმის გამო, რომ დაწერა ერთ-ერთი პირველი რომანი, რომელშიც ღიადაა აღწერილი ჰომოსექსუალთა სხეულებრივი ლტოლვა. კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის სიყვარული, მწერალმა უპასუხა: **„ნუ ჩავარდებით შეცდომაში იმ იდიოტების კვალდაკვალ, რომლებიც ასწავლიან, თითქოს გეების ურთიერთობა ჰეტეროსექსუალთა ურთიერთობას ჰგავს. ეს ასე არ არის",** – თუმცა განსხვავების განმარტებაზე უარი განაცხადა.

**ქ. დავითიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იქნებ მართალი არა ხართ?..

**როგორც იქნა, გვეღირსა და ჰაიდი ტალიავინის კომისიამ თავისი კომპეტენტური დასკვნა დადო, რომელსაც თითქოს ყველაფერი უნდა გაერკვია – თუ რა, როგორ და რატომ მოხდა შარშან აგვისტოში, თუმცა მოდი, ვაღიაროთ, რომ ქართველ საზოგადოებას ის უფრო აინტერესებდა, რა გამოხმაურება ექნებოდა ამ დასკვნას საქართველოს საზღვრებს გარეთ, თორემ ქართველებმა ჰაიდის გარეშეც მშვენივრად ვიცით, რაც მოხდა!**

სწორედ ამიტომ, რომ იტყვიან, ტალიავინის 900-გვერდიან დასკვნას ჯერ ხეირიანად მელანიც არ შეშრობოდა, რომ მთელი ძალით და **"მტკიცებულებებით"** ამუშავდა ნაცპროპაგანდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც საქართველოს ამ დასკვნის სახით მორიგი გამარჯვება მიულოცა, რეინტეგრაციის მინისტრი იაკობაშვილი იყო, რომელმაც თქვა, დოკუმენტში არსად წერია, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ხოლო ანგარიში ცალსახად უჩვენებს, რომ ყველა რუსული არგუმენტი არასწორიაო, და ა.შ.

მოდი და ასეთ ადამიანს ელაპარაკე, – არ დარჩენილა მსოფლიოს არც ერთი გაზეთი თუ ჟურნალი, რომ ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნებისთანავე პირველ გვერდებზე მსხვილი შრიფტით არ **„მიეცათ"** – აგვისტოს ომი საქართველომ დაიწყო!

ეტყობა, ზოგადად, ჩვენი ხელისუფლებისთვის და დანარჩენი მსოფლიოსათვის სხვადასხვა დასკვნა დაიწერა, თორემ მინისტრის ასეთი პოზიცია გაგონილა?!

დასკვნაში შავით თეთრზე წერია, რომ რუსეთის ჯარის რეგულარული ნაწილები მას შემდეგ შემოვიდნენ როკის გვირაბში, რაც ქართულმა ჯარმა 7-8 აგვისტოს ღამით ცხინვალის მასირებული დაბომბვა დაიწყოო. რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, რომ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების საბაბი სწორედ საქართველოს ქმედება იყო?

ურაპატრიოტიზმით მოწამლულთა გარდა, ყველა ქართველისათვის ეს უდავო ჭეშმარიტება, როგორც ჩანს, ბევრს არაფერს ნიშნავს რეინტეგრაციის მინისტრისათვის, რომელიც კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს – **„დასკვნაში ნათლადაა აღნიშნული, რომ რუსული ჯარები ცხინვალის რეგიონში 7 აგვისტომდე იმყოფებოდნენ"** და მოგვიანებით ამბობს, რომ **„ოფიციალური თბილისი არ ეთანხმება დასკვნის იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც, საქართველოში არ მომხდარა რუსეთის ჯარების 8 აგვისტომდე მასობრივი შემოჭრა".**

ნეტავ, იაკობაშვილი თავს იტყუებს თუ ქართველი საზოგადოება ჰგონია სულელი? თუ დასკვნაში წერია, რომ რუსები ცხინვალში 7 აგვისტომდე იმყოფებოდნენ, მაშინ რას და რატომ არ ეთანხმება ოფიციალური თბილისი?

ერთი სიტყვით, სრულ უაზრობად მიმაჩნია დეზინტეგრაციის მინისტრზე საუბარი. დიახ, არ შემშლია **„დეზ"**, რადგან ინტეგრაცია, მითუმეტეს **„რე"**, ანუ ხელახალი ინტეგრაციისა ვერაფერი ვნახეთ თემურ იაკობაშვილის მოღვაწეობაში. მართალია, ეს უაღრესად ეშმაკი პიროვნება რუსების გინებაში ათენ-აღამებს, მაგრამ ბოროტი ენები ირწმუნებიან, რომ საკუთარი ცოლ-შვილი **„საზიზღარ"** რუსეთში გადაუხვეწია.

ტალიავინის დასკვნის გამოქვეყნების დღეს იაკობაშვილი **„კავკასიის"** ეთერშიც გამობრძანდა და ათასი დაუდასტურებელი რამ დაიმოწმა. აბა, რა უნდა გვექნა, წინააღმდეგობა არ უნდა გაგვეწიაო? საქმეც მაგაშია, რომ უნდა გაგვეწია და ვერ გავწიეთ – უპატრონოდ დავაგდეთ ჯარიც და ადგილობრივი მოსახლეობაც. შემდეგ ერთნი დეზერტირობისთვის ციხეებში შევყარეთ, ხოლო მეორენი – გეტოსაქათმეებში.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო, ბატონო მინისტრო, – იქნებ ერთხელ მაინც აღიაროთ, რომ მართალი არა ხართ!

**დავით მხეიძე**

**P.S**. ეს წერილი უკვე მზად იყო, როდესაც **„რუსთავი 2"**-ზე ნინო შუბლაძის თოქშოუში კიდევ ერთხელ წარდგა რეინტეგრაციის მინისტრი თავისი მორიგი იგავმიუწვდომელი დემაგოგიით.

მის ბაგეთაგან ამოფრქვეულ ყველა **„მარგალიტს"** რა დათვლის და ამიტომ მხოლოდ ამ ადამიანის ფინალურ ოპუსზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

მამუკა კაციტაძის შეკითხვასა და დამუნათებას – ერთი მითხარი, გაეროს ასამბლეაზე რატომ არც ერთი ქვეყნის პირველი პირი არ შეხვდა სააკაშვილსო – დეზინტეგრაციის მინისტრმა შუბლზე ძარღვშეუტოკებლად მიუგო – როგორ არა, თურქმენეთის, ლიტვის და პოლონეთის პრეზიდენტებს შეხვდაო!

მართლაც, ამაზე დიდი უაზრობა გაგონილა? იმავე დღეს, მცხეთაში სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა შარშან აგვისტოში პირველი გასროლა იმით გაამართლა, რომ ასე მოიქცეოდა საფრანგეთი, ინგლისი, ესპანეთი და ამერიკაო, ანუ ჩვენ მაგათზე ნაკლები ბიჭები არა ვართო, და იმ რიხით ჩამოთვლილი ქვეყნების პრეზიდენტები, რომელთაც მიშა ედრება, მასთან ოფიციალურ შეხვედრას კი არა, ხელის ჩამორთმევას გაურბიან!

ბუნებრივია, რუსების წყენას ერიდებიან. ჩვენ კი არ ვერიდებით!

როდესაც თბილისიდან რამდენიმე კილომეტრში რუსული ტანკები დაქოქილია და თბილისზე **„მარშბრასოკისთვის"** მზად არიან, ლიტვისა და პოლონეთის პრეზიდენტები გვიშველიან ან წმიდა გიორგის ორდენის მორიგი კავალერი ვიტაუტას ლანდსბერგისი, არა? გენაცვალე ლოღიკაში!

ამიტომ კიდევ ერთხელ – სიმართლე გვითხარით, ბატონო მინისტრო, მხოლოდ სიმართლე!

# სასწაულის გვჯერა, მაგრამ თანადგომა გვჭირდება

***ჩვენი გაზეთის 33-ე ნომერში ვიუწყებოდით, რომ 2009 წლის 18 სექტემბერს თბილისში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სახალხო მედიცინის ერთ-ერთი პატრიარქის ბატონ ბიჭიკო გაგნიძის მიერ გამოგონებულ სასწაულმოქმედ პრეპარატებს "გაგელონსა" და "დომენტოლს". აღნიშნულის გამო გაზეთმა მიიღო უამრავი გამოხმაურება, რომელთაგან რამდენიმეს ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.***

**მადლობის წერილები სახალხო მკურნალ ბიჭიკო გაგნიძეს მისი სასწაულმოქმედი პრეპარატით განკურნებული პაციენტებისაგან:**

**თამარა ღვინჯილია,** ზუგდიდის რაიონი, სოფელი ახალი აბასთუმანი: – გაზეთ **"ილორის"** რედაქციას! ჩემი მეზობლის მეუღლე უმძიმესი ავადმყოფი იყო. არა ერთი დაავადება აწუხებდა. ზოგი წამალი ერთ დაავადებაზე დადებითად მოქმედებდა, ზოგი – მეორეზე. საერთო ჯამში კი მათ ბევრი უკუჩვენებაც ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ პაციენტის გამოჯანმრთელება ვერა და ვერ ხერხდებოდა, წლების განმავლობაში იტანჯებოდა და საშველი არ ჩანდა. გაგნიძის პრეპარატის მიღების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა: პაციენტი ფეხზე წამოდგა, მადაც აღუდგა, იმუნიტეტიც გაუძლიერდა. ბოლოს ავადმყოფობამ უკან დაიხია.

დღეს იგი სრულიად ჯანმრთელია. ამას კი მისი ოჯახის წევრები უმადლიან ბატონ ბიჭიკოს, როგორც სახალხო მკურნალს, რომელმაც მძიმე მდგომარეობიდან იხსნა იმედგადაწურული ავადმყოფი თავისი ფიტოთერაპიული წამლებით. ახლა ერთი თხოვნა გვაქვს თქვენთან, ბატონო ბიჭიკო. ჩვენ ზუგდიდში ვცხოვრობთ, თქვენ კი თბილისში გაქვთ ოფისი და იძულებულები ვართ იქ ჩამოვიდეთ წამლისათვის. ჯერ ერთი, მგზავრობა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მეორეც, სოფელში მცხოვრებ ადამიანებს გვიჭირს ოჯახების თუნდაც რამდენიმე საათით მიტოვება, რადგან სასაქონლო მეურნეობა მოუვლელი დაგვრჩება. ამიტომ, იქნებ გამონახოთ შესაძლებლობა, რომ ზუგდიდის რაიონში გაიხსნას თქვენი ოფისის ფილიალი, სადაც თბილისში ჩამოუსვლელად შეგვეძლება თქვენი სასწაულმოქმედი წამლის შეძენა. ეჭვი არ მეპარება, რომ როცა აფხაზები გაეგებენ თქვენი პრეპარატის სიკეთეს, ისინიც ჩამოვლენ მის შესაძენად...

**მარიამ კუცია,** ხობის რაიონი, სოფელი ნაჯახაო: – მძიმე ავადმყოფი ვიყავი. მაწუხებდა სახსრების ტკივილი, კუჭ-ნაწლავის სისტემის მოშლა, კლიმაქსური სინდრომი, ვენების გაგანიერება. თითქმის ყოველდღე წამალი მჭირდებოდა. ბოლო წლებში კი მისი შეძენის საშუალებაც აღარ მქონდა. ნათესავმა მირჩია, ბიჭიკო გაგნიძის მცენარეული სამკურნალო საშუალება მესინჯა. წამლის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ თავი უკეთ ვიგრძენი, გავაგრძელე მკურნალობა და ორი კურსის ბოლოს ტკივილები სულ გამიქრა. ამჟამადაც ამ წამლებით პროფილაქტიკურ მკურნალობას გავდივარ. მჯერა, რომ ეს ნამდვილად ბუნებრივი ელექსირია და სრულ გამოჯანმრთელებამდე მიმიყვანს. მაგრამ ძალიან მიჭირს თბილისში წამლისათვის ჩამოსვლა. ჩემს სოფელშიც ბევრნი არიან წამლის შეძენის მსურველები, მაგრამ მათაც უჭირთ ჩამოსვლა. კარგი იქნება, თუ სამეგრელოს რომელიმე აფთიაქში რომ გაიყიდებოდეს თქვენი წამალი. ეს დიდ შეღავათს მოუტანს ადამიანებს. იქნებ გაზეთ **"ილორის"** რედაქციამ ითაოს ამ საქმის მოგვარება...

**რუსუდან კიკალეიშვილი,** ქალაქი ფოთი: პატივცემულო რედაქცია! ხუთი წლის განმავლობაში მაწუხებდა კუჭის მჟავიანობა, გულძმარვა. მივიღე კლასიკური მედიცინის თითქმის ყველა პრეპარატი. მკურნალობის მომენტში ყველა ჩივილი მეხსნებოდა, მაგრამ მერე კვლავ მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, აღარ ვიცოდი, რა მექნა. გაზეთ **"ილორში"** წავიკითხე სტატია ბიჭიკო გაგნიძეზე და გადავწყვიტე მისი პრეპარატი მომესინჯა. ორი კვირის შემდეგ ტკივილებიც გამიქრა და გულძმარვაც მომეხსნა. უკვე დიდი ხანია, არანაირ წამალს აღარ ვიღებ. საკუთარ თავზე გამოვცადე ამ წამლის სიკეთე. დღეს, ფაქტობრივად, სრულიად ჯანმრთელი ვარ. ეს კი ბატონ ბიჭიკო გაგნიძის დამსახურებაა. მისი პრეპარატი მივაღებინე ჩემი ოჯახის წევრს, 14 წლის ბავშვს, რომელსაც ასევე კუჭ-ნაწლავისა და მომნელებელი სისტემის დაავადება აწუხებდა. 10-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ არაჩვეულებრივი შედეგი მივიღეთ. ვფიქრობ, თქვენი წამალი სერიოზული პრეპარატია და ის კვლევასა და ფარმაცევტულ სისტემაში დამკვიდრებას იმსახურებს. ოღონდაც, გვაქვს ერთი თხოვნა: ყველას არ გააჩნია თბილისში ჩამოსვლის საშუალება და კარგი იქნება, თუ ჩვენთან ერთ ფილიალს მაინც გახსნით, სადაც წამლის შეძენა იქნება შესაძლებელი. მისი შეძენის მსურველი კი, არა მხოლოდ სამეგრელოში, ძალიან ბევრია.

**გულნარა საჯაია**, სენაკი: – ვარ 60 წლის, მაწუხებდა კუჭის წყლული. კლასიკური მედიცინის პრეპარატების მიღების გარდა, ვიმკურნალე გურიაში ფიტონაკრებით. ამის შესახებ სამკურნალო წიგნში ამოვიკითხე. შედეგი ვერ მივიღე. დაავადების ფონზე განმივითარდა დეპრესია და მაღალი წნევაც ხშირად მაწუხებდა. ნებისმიერი წამალი შვებას ერთი-ორი დღით მაგრძნობინებდა, მერე ტკივილები კვლავ მიტევდა. მუდმივმა დიეტამ სულ მთლად მიმასუსტა. ამ რამდენიმე ხნის წინ მითხრეს, რომ თურმე გაზეთ **"ილორში"** დაბეჭდილა წერილი თქვენი წამლის შესახებ. წყალწაღებულივით ამ ერთადერთ იმედს მოვეჭიდე. გახსოვთ ალბათ, როგორი გაწამებული და იმედგადაწურული მოვედი თქვენთან. მაშინვე დავიწყე მკურნალობა და მცირე დროში დაავადებამ უკან დაიხია. სწორედ მაშინ ვიწამეთ მეც და ჩემი ოჯახის წევრებმაც, რომ სასწაული ნადვილად არსებობს და თქვენს მიერ მიგნებულ სასწაულს გაფრთხილება და ფართო გზა სჭირდება, რათა იგი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მძიმედ დაავადებულისათვის.

დღეს უკვე არანაირ დიეტაზე აღარ ვარ. ნებისმიერ საკვებს ვიღებ და აღარ მეშინია წყლულის განვითარების. ვფიქრობ, ამ წამლით პროფილაქტიკა საუკეთესო შედეგის მომტანია. ამასაც გეტყვით, სენაკში როცა გაიგეს ჩემი სასწაულებრივად განკურნების ამბავი, თქვენი წამლის შეძენის სურვილი მრავალ დაავადებულს გაუჩნდა. მაგრამ, სამწუხაროდ, დედაქალაქში ჩამოსვლას ბევრი ვერ ახერხებს მრავალ მიზეზთა გამო. ხოლო, თუ სენაკში გახსნით თქვენს წარმომადგენლობას, სადაც პრეპარატები გაიყიდება, ამით ხალხს დროც დაეზოგება და მგზავრობის ხარჯებსაც არ გაიღებს. გთხოვთ გაითვალისწინოთ ჩვენი თხოვნა. გაზეთ **"ილორს"** კი მადლობას ვუხდი ასეთი ფასეული ინფორმაციის მოწოდებისათვის.

**თამრიკო ქვილითაია**, აბაშის რაიონი, სოფელი ნაესაკოვო: გაზეთ **"ილორის"** რედაქციას! ექიმებმა რომ გაფანტული სკლეროზის დიაგნოზი დამისვეს, ახლობლებმა ლამის გამომიტირეს, რადგან მალე ვეღარ შევძელი სიარული და ლოგინს მივეჯაჭვე. ხელების კანკალიც დამჩემდა და საჭმელს სხვისი ხელით ვჭამდი. საშუალო სკოლაში მასწავლებლად მუშაობაზე ოცნებაც კი არ შემეძლო. როგორც იტყვიან, დღითიდღე ვიფერფლებოდი, მაგრამ მაინც ბჟუტავდა ჩემში იმედის მცირე ნაპერწკალი. სწორედ მაშინ მომევლინა მხსნელად ჩემი მეზობელი, რომელმაც ბატონი ბიჭიკოს მისამართი მომცა. მასაც გაზეთში წაეკითხა თურმე გაგნიძის წამლის თაობაზე, რითაც მისმა მეუღლემ საკმაოდ გართულებული ტუბერკულოზი მოირჩინა. ჩავედი თბლისში და ბატონ ბიჭიკოს მიერ ნაწყალობევი პრეპარატით რამდენიმე კურსის ჩატარების შემდეგ სიარული დავიწყე. მალე გადამავიწყდა ჩემი ავადმყოფობა და სიცოცხლის რწმენა დამიბრუნდა. ახლა კვლავ ვასწავლი ბავშვებს სკოლაში. ერთადერთი, რაც მინდა გთხოვოთ, არის ის, რომ იქნებ დაითანხმონ ბატონი ბიჭიკო ჩვენს კუთხეში ფილიალის გახსნაზე, რათა თბილისში არ მოგვიწიოს მგზავრობამ პრეპარატის შესაძენად.

**წერილები შეკრიბა**

**რ. შალამბერიძემ**







# ლავრენტი ბერია — ქართული გენია



სერგეი კრემლიოვი

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

წყენა ხომ სამ რესპუბლიკას ადგებოდა, რაზედაც მიანიშნა კიდეც ბერიამ სტალინს.

კონფლიქტის შიგთავსი ფრიად გამჭვირვალე გახლდათ — ბერია თავად ყოველთვის ზუსტი და პუნქტუალური იყო, მიზანსწრაფული და საქმიანი და ამასვე მოითხოვდა სხვებისაგანაც. მაგრამ, უფრო ლაპარაკში, და არა შრომაში გაწაფული ახალგაზრდა კავკასიელი **"ლიდერები"** (კახიანი და ლომინაძე წლობით მუშაობდნენ ამიერკავკასიაში) დასანახად ვერ იტანდნენ ამ პენსნეიან ჩეკისტს — მათ სრულ ანტიპოდს.

და პიროვნული ანტაგონიზმი იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი არ გამქრალა **"ლიდერთა"** სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემდეგაც კი.

**ლომინაძე** — ეს არის აწეწილი ხასიათისა და სამსახურის მქონე ადამიანი. მე შედარებით დაწვრილებით გაგაცნობთ მას, კახიანს და კიდევ რამდენიმე პიროვნებას, ორი გარკვეული მიზეზის გამო.

პირველ რიგში იმიტომ, რომ მკითხველმა კარგად დაინახოს სტალინის მდგომარეობის სირთულე. მეორეც — მკითხველმა კარგად დაინახოს, რომ ბერიას მუდმივი კონფლიქტების თავის ამიერკავკასიელ კოლეგებთან განპირობებული იყო არა მისი ინტრიგანობით, არამედ მომთხოვნელობით, საქმისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულებით და ლაყბობისადმი შეურიგებლობით.

ბევრი მისი აღზევებული თანატოლი თავის წარმატებას მხოლოდ საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა და ამიტომაც მიმდინარეობდა მათი დეგრადირების პროცესი. ლავრენტი კი თავის აღზევებაში მხოლოდ იმ ამოცანებს ხედავდა, რომელიც მის წინაშე დაისმებოდა ხოლმე ახალ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისას.

ზუსტად ასე იყო — სტალინის მიერ წახალისებული ზოგი ადამიანი ცხვირს აიბზუებდა ხოლმე, ბერიას კი მუდამ სამუშაო ახსოვდა, ასეთ ხალხს კი ჭორების გავრცელება და ინტრიგები არ ეხერხებათ.

სტალინს და სამშობლოს კადრები სჭირდებოდა. სტალინი ეძებდა — მისი აზრით — ღირსეულ კადრებს, აწინაურებდა და ელოდა პოლიტიკურ ორგანიზატორთგან ყოველდღიურ სკრუპულოზურ საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად.

სამწუხაროდ ყველა მათგანი არ ამართლებდა და თავი დამოუკიდებელ პოლიტიკოსად მიაჩნდა. ეს ადრე თუ გვიან მათთვის კრახით მთავრდებოდა — ისევე, როგორც ლომინაძისათვის.

ლომინაძე დაიბადა 1897 წელს და ორი წლით უფროსი იყო ბერიაზე. იგი სწრაფად აღზევდა: 1922-1924 წლებში იყო საქართველოს ცეკას მდივანი, მერე ახალგაზრდა კომუნისტთა ინტერნაციონალის თავმჯდომარე. სწორედ აქ აიბზუა ცხვირი ლომინაძემ.

და არა მხოლოდ მან...

1929 წლის 29 ივლისს სტალინმა გაუგზავნა მოლოტოვს მკვახე წერილი, სადაც აღნიშნავდა:

*"...გადაჭრით ვეწინააღმდეგები "კონსომოლსკაია პრავდაში" სტენის სტატიის გამოქვეყნებას (იგი 30 წლის ასაკში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), რომელიც შაცკინის სტატიის ანალოგიურია. ეს ან რედაქციის უხეშობაა... ან ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი გამოწვევა. კომკავშირლების პარტიის გენერალური ხაზისადმი დამორჩილება "მოსამსახურეობა" არ არის, რასაც სტენი აღნიშნავს. სხვაგვარად დისციპლინა მოირყევა და პარტია დისკუსიის კლუბად იქცევა. სწორედ ასე იწყებდნენ მოღვაწეობას ანტიპარტიული ოპოზიციური ჯგუფები. ასე იწყებდა თავის "საქმიანობას" ტროცკი და ამ მუსიკის ჰანგზე ცეკვავდა ზინოვიევი. ეს გზა აირჩია ბუხარინმაც. ამავე გზას ადგას შაცკინ-ავერბახ-ლომინაძე-სტენის ჯგუფიც".*

მაიაკოვსკი წერდა ლენინზე: **"იგი მეგობრებთან ზომაზე მეტად რბილი და ალერსიანი იყო, მტრებისადმი კი სასტიკი, რკინასავით მედგარი და დაუნდობელი".**

ეს სიტყვები სტალინსაც ეკუთვნის... აი, რატომ მოექცა იგი ამხანაგურად ლომინაძეს, სტენს და შაცკინს. ორი უკანასკნელი საკუთარ თანამდებობებს შერჩნენ, ლომინაძე კი მალე დანიშნეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

მაგრამ იგი ვერ ისვენებდა და საეჭვო კავშირი გააბა სტალინის მიერ დაწინაურებულ კიდევ ერთ ახალგაზრდა კაცთან — ეს იყო პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის ფედერაციის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 37 წლის სირცოვი.

და 1930 წლის 23 ოქტომბერს სტალინი კვლავ წერს მოლოტოვს:

*"ვიაჩესლავ!*

*1) გიგზავნი რეზნიკოვის შეტყობინებას სირცოვ-ლომინაძის ანტიპარტიულ ფრაქციულ ჯგუფზე. წარმოუდგენელი საზიზღრობაა. ყველა მონაცემებით დასტურდება რეზნიკოვის შეტყობინების ჭეშმარიტება. გადატრიალებლობანას და პოლიტბიუროობანას თამაშობდნენ და სავსებით ჩაიძირენ ჭაობში..."*

სხვათა შორის, შემდეგ ეწერა:

*"2) რაც შეეხება ტუხაჩევსკის, იგი ასპროცენტიანი მართალი გამოდგა ამ საქმეში, რაც მისასალმებელია..."*

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სტალინს სურდა, რომ ნდობოდა ამხანაგებს და ამაში ზოგჯერ მწარედ ტყუვდებოდა — ასე იყო ტუხაჩევსკისთან დაკავშირებით. მასზე, 1930 წელს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სერიოზული ჩვენებები მისცეს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დაპატიმრებულმა პედაგოგებმა კაკურინმა და ტროიცკიმ. ორივენი ამტკიცებდნენ, რომ ლენინგრადის სამხედრო ოლქის მაშინდელი მთავარსარდალი შესაფერის მომენტს ელოდება, რათა მოახდინოს სამხედრო გადატრიალება, დაამყაროს სამხედრო დიქტატურა და ამაში მას სამხედრო წრეებში უამრავი მომხრე ჰყავს.

კაკურინმა და ტროიცკიმ თავიანთი ჩვენებები დაადასტურეს დაპირისპირებისას, მაგრამ სტალინმა, გამარნიკის, იაკირისა და დუბოვოის დაკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა **"რაღაც გაუგებრობას"**, და გადაწყვიტა, რომ **"საქმე დაეხურათ"**.

მას ხომ სჯეროდა ამხანაგების!

მაგრამ ჩვენ დაგვავიწყდა **"პოლიტბიუროობანას"** მოთამაშე ლომინაძე. ამ თამაშის შემდეგ, იგი, რა თქმა უნდა, მოხსნეს (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მისგან ჩაიბარა მამია ორახელაშვილმა) და...

და ლომინაძე მოსკოვში გადაიყვანეს საავიაციო ქარხნის პარტკომად. სტალინის მას ჯერ კიდევ ისე ექცეოდა, როგორც დაბნეულ უმცროს ამხანაგს და იმედოვნებდა, რომ იგი გონს მოეგებოდა და დაიწყებდა არა საეჭვო პოლიტიკური გეგმების შედგენას, არამედ ეკონომიკას მიხედავდა. 1933 წელს მას მაგნიტოგორსკის საქალაქო კომიტეტის მდივნად აგზავნიან.

სამწუხაროდ, ამბიციები არ გამქრალა, ლომინაძემ **"გადატრიალებლობანას"** თამაშს თავი არ მიანება, რასაც ბოლოს და ბოლოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიაქცია ყურადღება. 1935 წლის იანვარში ლომინაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სირცოვი — რომელიც 1930 წელს მოხსნეს, 1937 წლამდე ქარხანა **"ელექტროსტალის"** დირექტორი იყო. იგი 1937 წელს, როგორც სტენი და შაცკინი, რეპრესირებულ იქნენ...

კახიანისა და ბერიას ბედი კი კონფლიქტურად დაუკავშირდა ერთმანეთს არა მხოლოდ მათ სიცოცხლეში, არამედ ორივეს სიკვდილის შემდეგაც კი...

კახიანი ლომინაძის თანატოლი და მისი ახლობელი იყო, რომელიც 1923 წლიდან 1930 წლამდე საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანი იყო, შემდეგ შუა აზიაში (ყაზახეთში) გადაიყვანეს, 1933 წელს კი **"პრავდის"** რედკოლეგიის წევრი იყო. 1934 წელს კახიანი რსფსრ-ს ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტში მუშაობდა რწმუნებულად.

1937 წლის ზაფხულში იგი დააპატიმრეს და საქართველოს შინსახკომის **"სამეულმა"** მას დახვრეტა მიუსაჯა.

რაც შეეხება 1937 წლის რეპრესიებს და თუ რა იყო **"სამეული"**, ამის თაობაზე საუბარი მოგვიანებით გვექნება. მაგრამ ახლავე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერიას იყო **"სამეულის"** წევრი.

კახიანი 1937 წელს დახვრიტეს, ბერია კი 1953 წელში. მაგრამ, როცა დაიწყო 1937-1938 წლებში ყველა **"უდანაშაულოდ დაღუპულთა"** რეაბილიტაციის აღლუმი, 1955 წელს საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს განცხადებით მიმართა კახიანის ქვრივმა ტ.ნ. დავთიანმა მისი დაღუპული მეუღლის რეაბილიტაციის თხოვნით.

11 მარტს სსრკ გენერალურმა პროკურორმა ბარანოვმა წერილით მიმართა ცეკას, სადაც აღნიშნავდა, რომ კახიანი 1937 წლის *აგვისტოში* დააპატიმრა საქართველოს შინსახკომმა.

ეს ცნობები ამოღებულია დოკუმენტთა კიდევ ერთი კრებულიდან, რომელიც ფონდმა **"დემოკრატიამ"** გამოსცა შემდეგი სახელწოდებით — **"როგორ ხდებოდა რეაბილიტაცია 1953 წლის მარტიდან 1956 წლის თებერვლამდე"**.

ამ კრებულის კომენტარებში მითითებულია, რომ კახიანი დააპატიმრეს არა აგვისტოში, არამედ *ივლისში.* თითქოს წვრილმანია!

თუნდაც ასე იყოს! შეიძლება 1937 წელს ძველი სტილით ხელმძღვანელობდნენ, 1956 წელს კი ახალი სტილით. მაგრამ, რატომ აპატიმრებს რსფსრ-ს ერთ-ერთი რეგიონის საკავშირო რწმუნებულს საქართველოს შინსახკომი? არ უნდა დავიჯეროთ, რომ ბერიამ კახიანი დააპატიმრა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ნაპოლეონმა დაატუსაღა ჰერცოგი ენგიენსკი ბადენის ტერიტორიაზე. მოსკოვის სანქციის გარეშე ასეთი რამ არ ხდებოდა — კახიანი ხომ საკავშირო იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

ბარანოვის ბარათის წაკითხვისთანავე (მკითხველი ამაში უნდა მერწმუნოს) იჯერებ, რომ კახიანი დამნაშავე იყო. ბარანოვის წერილი კი, რომელიც უამრავ შეუსაბამობებს მოიცავს, ცდილობს კახიანის გამართლებას.

მაგრამ, კახიანის ქვრივის წერილში ხომ ჩაწერილია ფრაზა **"ჯალათი ბერია!"** კახიანის რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ...

მას პარტიის წევრობაც აღუდგინეს, მაგრამ რატომ არ მოხდა მისი რეაბილიტაცია **"დანაშაულის ნიშნების არქონის გამო"**, ჩემთვის გაუგებარია...

მაგრამ, მსურს ვიცოდე...

მხოლოდ კახიანის საქმეში არსებულ კაზუსზე დაყრდნობით მე არ მინდა შევუდგე 1937-1938 წლების რეპრესიების ანალიზს.

მხოლოდ ერთ წვრილმანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას...

**"დემოკრატები"** წუწუნებენ ქართველი პოეტების ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ნაადრევად ჩამქრალი ტალანტის თაობაზე. და ისინი, რა თქმა უნდა, დაიღუპნენ **"სტალინის სატრაპის"** ბერიას ხელით.

მაგრამ, აი, როგორ აღწერა თავის დღიურში ტიციან ტაბიძე 1933 წლის შემოდგომაზე კორნეი ჩუკოვსკიმ:

*"სუფრის თავში თამადა ტიციან ტაბიძე იჯდა, ბულბულად ქცეული ზორბა ადამიანი, რომელიც თამადად იყო დაბადებული..."*

შემდეგ მიდის საუბარი ქეიფზე და კვლავ მოხსენიებულია მომავალი **"წამებული"**:

*"ტაბიძე, რუსულ-ფრანგული მიმართულების ყოფილი სიმბოლისტი, და მისი მთვრალი ლექსები გაჟღენთილია 1908-1910 წლების სულისკვეთებით. სახით იგი ოსკარ ვაილდს გვაგონებს".*

არ ვიცი, რა ჰქონდა ჩუკოვსკის მხედველობაში, როცა ტაბიძეს ოსკარ ვაილდთან აიგივებდა — მხოლოდ გარეგანი მსგავსება, თუ, თანამედროვეთა ენით რომ ვთქვათ, მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია. მაგრამ, იოლი წარმოსადგენია, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებოდა ოსკარ ვაილდის ორეულს **"ბარბაროს"** სტალინთან, **"ჟანდარმ"** ბერიასთან და საერთოდ ამიერკავკასიის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან...

იგი კი ქართულ ინტელიგენციაში დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა. ლიტერატურის ისტორიაში ჩახედულმა ხალხმა შეიძლება წინ დამილაგოს 1934 წლის პირველი საკავშირო მწერალთა ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, სადაც გარეგნულად ფრიად ეფექტური და სასიამოვნო სიტყვებით გამოდიოდნენ ტაბიძე და პაოლო იაშვილი. აღნიშნა რა შოთა რუსთაველის როლი მსოფლიოს ლტერატურაში, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ტოროშელიძემ განაცხადა:

*"ჯერ კიდევ რევოლუციამდე... ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა "ცისფერყანწელ" სიმბოლისტთა სკოლის ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმართულება. იგი გამოირჩეოდა უკიდურესი ინდივიდუალიზმით, თვითმიზნური ესთეტიზმით, რეალობას დაშორებით, ბოჰემის კულტით და სიმახინჯის ესთეტიკით... დაახასიათეს პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სხვათა შემოქმედება. და მიუხედავად "ცისფერყანწელთა" არაერთი განცხადებისა, მათი მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულების თაობაზე, თავისი შემოქმედებით ამ მწერლებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ლიტერატურული ფრონტის არაპროლეტარულ ბანაკში..."*

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კოლხები – ქართველების წინაპრები"

*ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს ანზორ შონიას იგივე სახელწოდების წიგნიდან*

*ქართული ეთნოსი, ცნებები „საქართველო“ და „ქართველი“*

*ყოველი ზემოთქმულიდან აშკარაა, მეგრული ენის ფაქტორმა განაპირობა ერთმნიშვნელოვნად დადგენილიყო, რომ:*

*– სწორედ ეგრისის სამეფოს დაარქვეს ბერძნებმა „კოლხეთის სამეფო“ და მის მკვიდრებს, მეგრელებს – „კოლხები“ (ძვ. წ. XV-XIV ს.ს.);*

*– ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის), სამეფოში დასახლებული სხვადასხვა ტომები, ფაქტობრივად, მეგრული ტერიტორიული ჯგუფები, მეგრელები იყვნენ და ამ სახელებით იწოდებოდნენ იმიტომ, რომ ისინი ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს იმ კუთხეებში, რომლებსაც ეს სახელები ერქვათ. ბუნებრივია, მათი ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად, მეგრული ენის ესა თუ ის დიალექტი;*

*– კოლხეთის (ეგრისის) სამეფო ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, თითქმის IV საუკუნემდე, მოიცავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, ფაქტობრივად, მთელ სამხრეთ კავკასიას, სადაც ცხოვრობდნენ მეგრული ტერიტორიული ჯგუფები და გავრცელებული იყო მეგრული ენა;*

*– ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში, ლიხის ქედიდან კასპიის ზღვამდე, წარმოჩინდნენ „იბერიის“ (ქართლის) და „ალბანეთის“ სამეფოები, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში, დასახელებული მეგრული ტერიტორიული ჯგუფებიდან იმ ჯგუფებმა, რომლებიც „იბერიის“ (ქართლის) და „ალბანეთის“ სამეფოების ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ;*

*ფაქტობრივად, იბერიაც (ქართლელები) შედგებოდნენ კოლხური (მეგრული) ტერიტორიული ჯგუფების წარმომადგენლებისაგან, მათი სამეტყველო ენა იყო კოლხური (მეგრული) ენა ,რომელიც საფუძვლად დაედო იბერიულ ენას, რომელსაც ერთიანი საქართველოს ეპოქაში (XI-XVს.ს.) ქართული ენა დაერქვა".*

– რადგანაც იბერებიც (ქართლელები), ფაქტობრივად, კოლხები (მეგრელები) იყვნენ, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ქართველ ხალხში ერთი ეთნოსის დომინანტია და არავითარი ქართლური, მეგრული და სვანური სხვადასხვა ეთნოსი არ არსებობს, ვინაიდან ქართლელები, მეგრელები და სვანები საერთო ეთნოსის მქონე ჭეშმარიტი ქართველები არიან.

თუ ევროსაბჭოს კონვენციისათვის ცნობილი გახდებოდა, რომ მეგრელები და სვანები ჭეშმარიტი ქართველები არიან და მეგრული და სვანური ენები ძველი ქართული ენებია, გამორიცხულია, მიზანშეწონილად ჩაეთვალა ქართულ საქმეში ჩარევა, მაგრამ გაცილებით უფრო აღმაშფოთებელია, როდესაც ყოველივე ეს არ იცის ქართველმა ხალხმა, რასაც მივიჩნევ მეცნიერების მიერ დაშვებულ ეროვნული მნიშვნელობის შეცდომად.

სხვათა შორის, საქართველში ოდითგანვე მიღებულია, თითქოს ქართული კუთხეების მკვიდრებიდან ქართველები, ძირითადად, ქართლელები არიან, რაზედაც აშკარად მეტყველებს შემდეგი გარემოებაც: რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის (1897წ.) დროს, როდესაც პიროვნების ანკეტურ მონაცემებში პირველად შეიტანეს **„ეროვნების რეკვიზიტი“,** საქართველოში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ქართველები ეროვნებად იჭერდნენ იმ კუთხის დასახელებას, რომლის მკვიდრნიც იყვნენ – კახელს, იმერელს, მეგრელს, აფხაზს, მესხს, სვანს, ხევსურს და ა.შ. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ქართლელს ეროვნებად **„ქართლელი "** დაეწერა.

სწორედ ეს მეტყველებს იმაზე, რომ იმ ეპოქაში სწორედ არ ესმოდათ ზოგადეროვნული ცნებების **„საქართველოს“** და **„ქართველის“** არსი, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სამწუხაროდ, ამჟამადაც დაახლოებით ისეთივე მდგომარეობაა. უფრო მეტი, ხალხში ქართლელი დღესაც გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობს, ქართველობის საკითხში.

ვფიქრობ ეს განპირობებულია იმით, რომ არსებობს აზრი, თითქოს ჩვენს ქვეყანას **„საქართველო“** დაერქვა **„ქართლის“** მიხედვით, ხოლო მის მკვიდრებს **„ქართველები“** ქართლელების გავლენით, რაც სრულიად არასწორია.

არადა, **„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაშიც"** წერია, თითქოს ძველად **„ქართველი"** ნიშნავდა ქართლელს, ხოლო შემდგომ შეიძინა ზოგადქართული მნიშვნელობა და **„ქართველის"** ქვეშ უკვე მოიაზრებოდა ნებისმიერი ქართული კუთხის მკვიდრი, მაშინ, როდესაც ენციკლოპედიაშივე სხვა ადგილას წერია, რომ ქართველთა სამეფო ჩამოყალიბდა ტაოკლარჯეთში (XI ს.) და ქართველებად მხოლოდ მესხები და ჯავახები იწოდებოდნენ, მით უმეტეს, იმ ეპოქაში, ქართლი საერთოდ არ არსებობდა.

უფრო მეტი, ერთიანი საქართველოს ეპოქამდე (XI-XVს.ს.) მთელ აღმოსავლეთ საქართველოს **„იბერია"** ერქვა და მის მკვიდრებს – **„იბერები"**. სათანადოდ, ცნება „ქართველი" მხოლოდ **„ქართლელს"** არასოდეს ნიშნავდა, ხოლო, როდესაც ერთიან საქართველოში გაჩნდა ცნებები **„საქართველო"** და **„ქართველი",** მათში ისევე მოიაზრებოდა ნებისმიერი ქართული კუთხე და მისი მკვიდრი, როგორც ქართლი და ქართლელი.

მიუხედავად ამისა, საქართველოში მიაჩნდათ, რომ ქართული კუთხეების მკვიდრნი იმდენად იყვნენ ქართველები, რამდენადაც ისინი ქართლელები ხდებოდნენ.

ივანე ჯავახიშვილიც კი ბრძანებდა–**„იმერლები და გურულები „გაქართებულ" მეგრელებად უნდა მივიჩნიოთო"**-ო.

ქართველი მეცნიერები ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესსაც კი **„ქართიზაციად"** მოიხსენიებენ, რაც აშკარად არასწორია. დარწმუნებული ვარ ამ პროცესს **„ქართველიზაცია"** უნდა დარქმეოდა, ვინაიდან ქართლელმაც ისევე განიცადა **,,ქართველიზაცია"** როგორც მეგრელმა, და ქართლელს არავითარი უპირატესობა არა აქვს ქართველობის საკითხში მეგრელთან შედარებით.

თუ არა, მართლაც იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში სწორად არ ესმით ცნებების **,,საქართველოს"** და **„ქართველოს"** ზოგადეროვნული არსი, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა იმ გარემოებამაც, რომ ამ ცნებებს საქართველოს დაშლის ეპოქიდან (XVს.), თითქმის XIX საუკუნემდე, ფაქტობრივად ფუნქცია მთლიანად დაკარგული ჰქონდა.

რადგანაც არ არსებობდა ერთიანი საქართველო, ქართული სამეფო-სამთავროების მკვიდრნი თავიანთ თავს მიიჩნევდნენ ქართლელებად, იმერლებად, მეგრელებად, გურულებად, აჭარლებად, სვანებად, აფხაზებად, მესხებად და ა.შ.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ქართულმა სამეფო სამთავროებმა დაკარგეს სახელმწიფოებრიობა და ფაქტობრივად, რუსეთის რიგით მაზრებად იქცნენ, რის შემდეგაც დაიწყო ქართველების ,,რუსიფიკაციის" პროცესი.

სწორედ ამ ეპოქაში, დიდი ერისკაცის სოლომონ დოდაშვილის და მისი თაობის ღირსეული მამულიშვილების თაოსნობით, შესაძლებელი გახდა, ამ პროცესისითვის დაეპირისპირებინათ **,,ქართველიზაციის"** პროცესი, რამაც უდიდესი როლი შეასრულა ქართული თვითმყოფადობის შენარჩუნების საკითხში.

სხვათა შორის, რუსი მოხელეების მიერ საქართველოში გატარებულმა პოლიტიკამ აშკარად უკუშედეგი გამოიღო, გამოკვეთილად აამაღლა ეროვნული თვითშეგნება და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა.

ამდენად, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ ამ ეპოქიდან მოხერხდა ცნებების **,,საქართველოს"** და **„ქართველის"** ეროვნული ფუნქციის აღდგენა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, ხაზი გავუსვა ერთ გარემოებას–საქართველოს რუსეთთან ე.წ. შეერთებას, მთელ რიგ უარყოფით ასპექტებთან ერთად გარკვეული დადებითი მომენტებიც ახლდა.

მართალია ამ მოვლენას მოჰყვა ქართული სამეფო-სამთავროების მიერ სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, მაგრამ, რაც მთავარია, საქართველო ფორმალურად მაინც გაერთიანდა.

უფრო მეტიც, კომუნისტურ ეპოქაში ეს ერთიანობა აშკარად რეალური გახდა და ცნებებმა **„საქართველომ"** და **„ქართველმა",** საბოლოოდ, ზოგადეროვნული დატვირთვა მიიღო.

მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, XIX საუკუნის ბოლოს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დროს, მაინც იყო ხშირი შემთხვევები, როცა ქართველები ეროვნებად იწერდნენ კახელს, იმერელს, აფხაზს, სვანს, გურულს, მესხს და ა.შ. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართლელს ეროვნებად **„ქართლელი"** აერჩია.

ვფიქრობ, ეს ერთგვარად განაპირობა შემდეგმა მოვლენამ – ერთიანი საქართველოს დაშლის (XVს.) მომდევნო ეპოქაში თბილისი დარჩა ახლადწარმოჩენილ ქართლის სამეფოს დედაქალაქად. ეტყობა, ამან განამტკიცა აზრი, თითქოს საქართველოს სამეფოს მემკვიდრეა მხოლოდ ქართლის სამეფო, ხოლო ქართველის –ქართლელი.

მართალია, ეს მოვლენა უთუოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ ის რომ, თითქოს ჩვენს ქვეყანას **„საქართველო"** და მის მკვიდრებს **,,ქართველები"** დაერქვათ **„ქართლისა"** და **„ქართლელის"** მიხედვით, არასწორია.

სხვათა შორის **„ქართლის ცხოვრება"** გვამცნობს, თითქოს იბერიის პირველი მეფის ფარნავაზის ეპოქაში (ძვ.წ. IV–IIIს.ს) კოლხეთისა (ეგრისის) და იბერიის (ქართლის) სამეფოები გაერთიანდა, მაგრამ ამაზე არც ერთი სხვა წყარო არ არსებობს და არც შემდგომი ისტორიული მოვლენებით მტკიცდება; თუმცა, ქართველი ხალხის ცნობიერებაში ეს მოვლენა მაინც დარჩა საქართველოსა და ქართველი ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ.

როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოზე პირველი ცნობები ბერძნულმა წყაროებმა შემოგვინახეს. უფრო მეტი, ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან ერთიანი საქართველოს ეპოქამდე (XI-Xჩ ს.ს) ბერძნები, რომაელები და ბიზანტიელები აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს მხოლოდ იბერიის სამეფოდ მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრ მოსახლეობას – იბერებად და მართლაც, არც ერთი წყარო არ არსებობს, სადაც ნახსენები იყოს **„ქართლი"** და **„ქართლელები"**.

ბერძნულ-რომაული წყაროებიდან არ ჩანს ძველი წელთაღიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახლებული ტერიტორიული ჯგუფებიდან რომლები მოხვდნენ იბერიის სამეფოს შემადგენლობაში, მით უმეტეს, ახალი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებიდან, ისინი ფაქობრივად, არც ჩანან იბერიის სამეფოში, გარდა მესხებისა და ჯავახებისა, მაგრამ მის სინამდვილეში წარმოჩინდნენ ახალი ტერიტორიული ჯგუფები – კახელები, ქიზიყელები, მთიელები, თუშები, მოხევეები, ფშავლები, ხევსურები, ინგილოები. სწორედ ყველა ისინი იწოდებოდნენ იბერებად. მართლია, VI საუკუნეში სპარსელებმა იბერიის სამეფო გააუქმეს, მაგრამ ბიზანტიელები აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს მაინც იბერიად მოიხსენიებდნენ და მის მკვიდრებს – იბერებად.

ბიზანტიელი სწავლულები წერდნენ – როდესაც ბიზანტიის კეისარმა ჰერაკლემ (610-641წ.წ.) ირანს ომი გამოუცხადა, მას მხარს უჭერდნენ იბერები და მეგრელები.

დადგენილია, რომ IX საუკუნის ბოლოს, ტაო-კლარჯეთის სამთავროს სამხრეთ ქართველთა სამეფო ეწოდა, მაგრამ მის მეფეებს ბიზანტიელები იბერთა კურაპალატად მოიხსენიებდნენ.

უფრო მეტი, XI საუკუნის ბოლოსაც კი, ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი მხედართმთავარი გრიგოლ ბაკურიანისძე რომელმაც პეტრიწონის მონასტერი ააშენა (1083წ.) თავის ეროვნებად სწორედ იბერიელს ასახელებს, თუმცა იმ ეპოქაში საქართველო უკვე ერთიანი იყო; ეტყობა, ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული ცნებები **„საქართველო“** და **„ქართველი“.**

ამდენად, საქართველოს გაერთიანებამდე (XIს.) აღმოსავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოს **„იბერიის სამეფო“** ერქვა და მის მკვიდრებს **„იბერები“**, მაგრამ რაოდენ გასაკვირიც არ უნდა აიყოს, ლეონტი მროველის მიერ შედგენილი **„ქართლის ცხოვრება“** (დაახ. XIIს.) საერთოდ არ იცნობს ცნობებს **„იბერიას“,„იბერს“,„კოლხეთს“ და „კოლხს“,** რაც მის მეცნიერულ ღირებულებას აშკარად ეჭვის ქვეშ აყენებს, ვინაიდან ამ ცნებების არსებობა მეცნიერულად დადგენილი ჭეშმარიტებაა.

მართლაც, დიდი ილია, ივანე ჯავახიშვილი და სხვები, მიიჩნევდნენ, რომ **„ქართლის ცხოვრება“** ვერ გამოდგებოდა საქართველოს რეალური ისტორიის დასაწერად, მაგრამ მაინც დარჩა საქართველოს ისტორიის ძირითად წყაროდ.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, სწორედ **„ქართლის ცხოვრების“** თანახმად, ძვ.წ. საუკუნეში წარმოჩენილ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოსგან დამოუკიდებელ ახალ სამეფოს ერქვა **„იბერიის სამეფო“** და მის მკვიდრ მოსახლეობას – **„ქართლელები“**. თუმცა ამაზე არც ერთი წყარო არა არსებობს და რაც ისაა დადგენილი, თუ რამ განაპირობა ტერმინ **„იბერიის“** ჩანაცვლება ტერმინით **„ქართლი“,** ხოლო **„იბერიელის“ „ქართლელით“** და როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „აგვისტოს ომში ამერიკელებმა სააკაშვილი რუსეთის სატყუარად გამოიყენეს“

## პაატა ზაქარეიშვილი:

**„სააკაშვილს არაოფიციალურად, ტელეფონით ამერიკის ნეოკონსერვატიული ფრთიდან ეძლეოდა მინიშნებები, წინადადებები. მიშაც ძალიან თამამად ცდილობდა რუსეთის გაღიზიანებას. ამერიკელებმა სააკაშვილი ანკესზე მისაბმელ ჭიაყელად გამოიყენეს და შემდეგ გადააგდეს!“**

**– ბატონო პაატა, ჰაიდი ტალიავინის დასკვნას საკმაოდ არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან. თქვენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დასკვნაში?**

– ამ დასკვნაში ყველაზე მნიშვნელოვანი ევროპელების ხედვაა და ხელისუფლების და ოპოზიციის ინტერპრეტაცია, ცოტა არ იყოს, სასაცილოა, რადგან ამ კომისიაში მონაწილეობა არ მიუღია არც ქართულ და არც რუსულ მხარეს. არათუ მუშაობაში, მათ კომისიის შექმნაშიც კი არ მიუძღვით წვლილი. ეს დასკვნა ევროპელების მიერ ევროპელებისთვის დაწერილი საკმაოდ ობიექტური და დაბალანსებული დოკუმენტია. 19 ექსპერტი სწავლობდა აგვისტოს მოვლენებს და მათ შორის მხოლოდ ორ გვარს ასახელებენ პრორუსულს. ამაშიც ეტყობა, როგორ შეეცადნენ ევროპელები, ისე დაებალანსებინათ კომისია, რომ ყველა მხარის ინტერესები გაეთვალისწინებინათ და ყოვლისმომცველი დასკვნა დაედოთ. ასეთი კომისია არასდროს შეუქმნია ევროკავშირს და არც ასეთი დიდი დოკუმენტი დაწერილა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნისთვის. ეს დოკუმენტი ობიექტურა, მაგრამ მრავალი ხარვეზიც აქვს...

**– კომკრეტულად, ხარვეზებში რას გულისხმობთ?**

– ყურადღება არ არის გამახვილებული 3 ივლისს, სანაკოევის წინააღმდეგ მოწყობილ ტერაქტზე. ჩემი აზრით, აქედან დაიწყო 7-8 აგვისტოს მოვლენები. ხარვეზია ისიც, რომ ამ დოკუმენტში აგვისტოს კონფლიქტს თავისი სახელი არ დარქმევია – ხან ომად მოიხსენიებენ და ხან – მოვლენებად. მიხეილ სააკაშვილი ქართველი საზოგადოებისგან მუდმივად მოითხოვდა, 2008 წელში მომხდარისთვის ქართულ-რუსული ომი ეწოდებინათ. ამ დოკუმენტში კი ეს ტერმინი ერთხელაც არაა ნახსენები. აშკარაა, რომ ამას თავი აარიდეს და მაქსიმალურად შეეცადნენ, რუსეთს არ დაპირისპირებოდნენ. თუმცა, ხარვეზების მიუხედავად, ეს ის ფუნდამენტია, რომელზეც ექსპერტთა მოსაზრებები უნდა აიგოს. ამ დასკვნას ვერც ქართველი და ვერც რუსი ექსპერტები გაექცევიან.

**– თქვენ აღნიშნეთ, რომ ეს დაბალანსებული კომისია იყო, მაგრამ ყველასთვის კარგადაა ცნობილი გერმანიის რუსეთისადმი დამოკიდებულება; კომისიის 9 წევრი კი გერმანელი გახლდათ. ისინი რუსეთის ინტერესებს არ გაუწევდნენ ანგარიშს?**

– არა. რეალურად ყველანი პროევროპელები იყვნენ და ეს დოკუმენტი დაწერეს არა ქართველებისა და რუსებისთვის, არამედ ევროპელებისთვის, რადგან მხოლოდ ევროპელებს არ ჰქონდათ წარმოდგენა რეალობაზე.

**– ანუ ეს ის დოკუმენტია, რომლითაც ევროპამ უნდა იხელმძღვანელოს?**

– რა თქმა უნდა. ამიტომ, თუ ჩვენ პროქართულ და პრორუსულ ძალებს დავუწყებთ ძებნას, ღრმად შევტოპავთ. ჩვენს გონებაში დაგებულ ხაფანგში მოვექცევით და მისი მძევლები გავხდებით. თუ ევროპელები ვართ, ევროპულად უნდა წავიკითხოთ ეს დოკუმენტი და მასში მტერს არ დავუწყოთ ძებნა. ამით გულს ვერ ავუჩუყებთ ევროპას, სამაგიეროდ კიდევ უფრო დავცილდებით მას. ამ დოკუმენტს არავითარი სანქციები არ მოჰყვება. სამართლებრივად მას ვერც საქართველო და ვერც რუსეთი ვერ გამოიყენებს ერთმანეთის წინააღმდეგ. ამ დოკუმენტის მიზანი დამნაშავის პოვნა არ იყო, მის უმთავრეს ამოცანას ფაქტების დადგენა წარმოადგენს.

**– თქვენ ამბობთ, რომ ეს დოკუმენტი ევროპელების თვალით დანახული აგვისტოს მოვლენებია. როგორ დაინახეს მათ ეს კონფლიქტი?**

– ეს მნიშვნელოვანი კითხვაა, რომელსაც რატომღაც არ სვამს ქართველი საზოგადოება. არადა, ევროპელებმა დაგვინახეს, როგორც აგრესორი სახელმწიფო, მხარე, რომელსაც საკუთარ ხალხთან საერთო ენის გამონახვა არ უნდოდა. მათ მკაფიოდ გამოხატეს, რომ ამ კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლებოდა. სააკაშვილი კი რუსეთის ტყუილებს ითვლიდა. მოდი სააკაშვილის ტყუილებიც დავითვალოთ.

**– საინტერესოა...**

– პირველი: ხელისუფლება ამბობდა, რომ ომი გარდაუვალი იყო. დოკუმენტში პირდაპირაა დაფიქსირებული, რომ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. მეორე: ხელისუფლება აცხადებდა, რომ ეს ქართულ-რუსული კონფლიქტი იყო. დოკუმენტში ნახსენებია ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტები.

**– ქართულ-რუსული არა?**

– არა. დოკუმენტში პირდაპირ ნათქვამია, რომ საქართველოს მიერ ცხინვალის დაბომბვა იყო საბაბი რუსული აგრესიის განხორციელებისა, ანუ პირველი ნაბიჯი გადადგა საქართველომ. ჩვენი ხელისუფლება კი ცრუობდა, როცა აცხადებდა, რომ რუსეთი შემოვიდა და ჩვენ საპასუხო ცეცხლი გავხსენითო. დოკუმენტში წერია, – საქართველომ დაიწყო ცხინვალის დაბომბვა, გამოიყენა გრადები და ამას რუსეთმა არაადეკვატურად უპასუხა. არავინ ამტყუნებს რუსეთს ცხინვალში შესვლისთვის. მას მხოლოდ იმაში სდებენ ბრალს, რომ გადალახა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული საზღვარი და გორში გადმოვიდა. საქართველოს კი ბრალი ედება დაგომისის ხელშეკრულების დარღვევაში. დღეს ბევრი ჩვენგანი გაიძახის, რომ საქართველოს ტერიტორიაა და ცეცხლის გახსნის უფლება გვქონდაო. სამართლებრივად, ამ ტერიტორიაზე მოქმედებდა საქართველოს მიერ 1992 წელს ხელმოწერილი სოჭის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ჩვენ საომარი მოქმედებების განხორციელების უფლება არ გვქონდა. ამას სააკაშვილი არ ახსენებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფაქტების 80 პროცენტი უარყოფითად მეტყველებს რუსეთზე, 20 პროცენტი – საქართველოზე, მაგრამ ეს ის 20 პროცენტია, რომელიც იმ დეტონატორის მოქმედებას ჰგავს, რომელიც ყუმბარას აფეთქებს. ამიტომ რუსეთის 80 პროცენტი გუბეა, სადაც მას ცხვირსაც ვერ ჩააყოფინებენ, საქართველოს 20 პროცენტი კი ოკეანეა, სადაც ჩახრჩობა შეიძლება. ევროპას საქართველო ისე არ სჭირდება, როგორც რუსეთი. საქართველოს კი რუსეთზე მეტად ევროპა სჭირდება. შესაბამისად, რას მოგვიტანს ეს დოკუმენტი, არავინ იცის. ევროპელები გვეუბნებიან, თქვენ, ქართველ ერს, არ გქონდათ უფლება, საკუთარი ხალხის მიმართ აგრესიულები ყოფილიყავითო. საქართველოს მიერ ქართული ქალაქის – ცხინვალის დაბომბვა და ამაზე გაჩუმება, დანაშაულია. ჩვენ სამართლიანად დავტირით იმ მსხვერპლს, რაც ჩვენმა ქვეყანამ ქალაქ გორში გაიღო. მაგრამ ასე არ განვიცდით ცხინვალში დაღუპულ ჩვენს თანამოქალაქეებზე? იქ ხომ უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე გორში? ამაზე რატომ არ იღებენ ხმას? იმიტომ ხომ არა, რომ ის ჩვენი ქალაქი, ჩვენი ტერიტორია აღარაა?! ის დავთმეთ და ეს დაინახეს ევროპელებმა.

**– პრეზიდენტი ოსებზე, როგორც თავის ხალხზე, ისე საუბრობს.**

– ცხინვალში ხალხის დაღუპვის გამო წუხილი არ მსმენია.

**– ბატონო პაატა, მინდა, საქართველოს საპარლამენტო კომისიის იმ დასკვნასაც შევეხოთ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენებს სწავლობდა. ტალიავინის დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ მასალასთან თუ ჰქონდა თანხვედრა ქართულ დოკუმენტში მოყვანილ ფაქტებს?**

– საქართველოს საპარლამენტო კომისიას ერქვა **„რუსეთის აგრესიის გამოვლენის დროებითი კომისია“**, ანუ საპარლამენტო კომისიამ პირდაპირ დაისახა მიზნად რომ მხოლოდ რუსეთის აგრესია გამოევლინა. ტალიავინის კომისიის ამოცანა არც რუსეთის და არც საქართველოს აგრესიის გამოვლენა არ ყოფილა. მათი ძირითადი მოტივი კონკრეტული ფაქტების დადგენა იყო. თუ ჩემი მიზანი რუსეთის აგრესიის დამტკიცება იქნება, ისე დავალაგებ ფაქტებს, რომ კიდეც დავამტკიცებ. საპარლამენტო კომისია ობიექტური ვერ იქნებოდა და, შესაბამისად, მისი დასკვნები სანდო არაა.

**– ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ის თუ წერია, როგორ უნდა მოგვეხერხებინა ეს?**

– როცა დოკუმენტი ამბობს, რომ კონფლიქტის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეებმა ყველაფერი გააკეთეს ომის დასაწყებად და არაფერი მოიმოქმედეს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად. ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა, თუკი კომპეტენტური ხელისუფლება გვეყოლებოდა, რომელსაც მუდმივად ექნებოდა კავშირი აფხაზურ და ოსურ მხარეებთან; მუდმივად შეამოწმებდა პროცესებს. 2006 წლის მაისამდე ვითარება ნელ-ნელა უკეთესობისკენ მიდიოდა. 15 მაისს შამბა ჩამოვიდა თბილისში და ჩამოიტანა დოკუმენტი **„მომავლის გასაღები“**. დღეს ამაზე ხმას არ იღებენ. 2005 წლის დეკემბერში კოკოითმა სააკაშვილს წერილი გამოუგზავნა, მშვიდობა და ლუბლიანის დოკუმენტზე მუშაობა შესთავაზა. აფხაზური და ოსური მხრიდან წინადადებები მოდიოდა. შესაძლოა, მიუღებელი, მაგრამ მასზე მსჯელობა შეიძლებოდა. ჩვენმა სრულმა სიყრუემ, მთელი ყურადღების რუსეთზე გადატანამ, რუსეთის გაღიზიანებამ, რათა მუდმივად შექმნილიყო ომის საფრთხე, ავტობუსების დაწვამ, სანაკოევის პროექტის შექმნამ, 3 ივლისის ტერაქტმა, უპილოტო თვითმფრინავების გაფრენამ, კოდორში ჯარების შეყვანა-გამოყვანამ 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებამდე მიგვიყვანა. თუ ვართ ერი, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვაღიაროთ და ამ კრიზისიდან გამოსასვლელი გზების ძიება დავიწყოთ.

**– ტალიავინის დოკუმენტში ნახსენები იყო, რომ ამერიკელ სამხედრო მრჩევლებს არ შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ პროცესებზე. თუ ეს, მართლაც, ასე იყო, რა საჭირო იყო ამ დოკუმენტში მათზე საუბარი?**

– ტალიავინის დოკუმენტში წერია, რომ ამერიკელებს არ შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ პროცესებზე, მაგრამ რაკი ახსენებენ, ამით მინიშნებას აკეთებენ და ამის დასტურად შემიძლია ისეთი ავტორიტეტული ორგანო მოვიყვანო, როგორიც ბრიტანეთის ლორდთა პალატაა. მან 2008 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა განცხადება: **„ამერიკელებმა ცრუ მოლოდინები შეუქმნეს სააკაშვილის ხელისუფლებას“.** ამერიკაში საკმაოდ მაღალი დონის შეხვედრაზე ვიყავი, სადაც ამერიკელების როლზე იყო საუბარი და იქ მკაფიოდ დააფიქსირეს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი აფრთხილებდა სააკაშვილს, საომარი მოქმედებები არ დაეშვა. მათ კითხვა შევუტრიალე: **„დიკ ჩეინი?“** უცებ, ყველა გაისუსა. ისინი დაფიქრდნენ და ვერ უარყვეს ვიცეპრეზიდენტ დიკ ჩეინის ფაქტორი, რადგან ეს უკანასკნელი განსხვავებულ როლს ასრულებდა ბუშის ადმინისტრაციაში. ის იყო ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის წარმომადგენელი. ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის მთავარი საფუძველი კი მტრის ხატის შექმნაა ქვეყნის საზღვრებს გარეთ – ამ შემთხვევაში ისლამისა და რუსეთის სახით. მართალია, ეს არ ჩანს ტალიავინის დასკვნაში, მაგრამ მგონია, რომ სააკაშვილს არაოფიციალურად, ტელეფონით ნეოკონსერვატიული ფრთიდან ეძლეოდა მინიშნებები, წინადადებები. სააკაშვილიც რუსეთის გაღიზიანებას თამამად ცდილობდა. ამერიკელებმა სააკაშვილი ანკესზე მისაბმელ ჭიაყელად გამოიყენეს. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ქართულ-რუსული დაპირისპირება ჯონ მაკკეინმა თავის წინასაარჩევნო კამპანიაში ეფექტიანად გამოიყენა, მიხეილ სააკაშვილს ილუზია შეუქმნა ამერიკის დახმარებასთან დაკავშირებით და, ჩვენდა საუბედუროდ, გადააგდო.

ამასწინათ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ მნიშვნელოვანი რამ თქვა: **„საომარი მოქმედებების დროს პარლამენტის თავმჯდომარემ** (დავით ბაქრაძე იგულისხმა) **ამერიკელებს პირდაპირ ჰკითხა: „სად არის თქვენი არმიაო?“** წარმოიდგინეთ, ამ ხელისუფლებას ამერიკელებისაგან რამხელა მოლოდინი ჰქონიათ. ეს რომ მომხდარიყო, მესამე მსოფლიო ომი დაიწყებოდა.

**– ხელისუფლება აცხადებს, რომ ტალიავინის დოკუმენტსა და ჩვენი საპარლამენტო კომისიის დასკვნაში ფაქტობრივი მასალის თანხვედრაა. ქართულ მხარეს ხელი მიუწვდებოდა იმ ფაქტობრივ მასალაზე, რაზეც – ტალიავინის კომისიას?**

– ტალიავინის კომისიას უნიკალური ფაქტობრივი მასალა აფხაზურმა, ოსურმა და რუსულმა მხარეებმა გადასცეს. ჩვენი კომისიის ამოცანა კი რუსული აგრესიის დადასტურება იყო, ამიტომ ქართულმა მხარემ მხოლოდ ის მასალები მოიძია, რაც ამისთვის საკმარისი იყო და ის მოწმეები დაკითხა, რომლებიც საქართველოში იყვნენ. მათ არ დაუკითხავთ არც რუსი გენერლები, არც ე. წ. სამშვიდობოები, არც ოსი და აფხაზი სეპარატისტები. ამიტომ სასაცილოდ ჟღერს, როცა ამ ორი კომისიის შედეგებს ადარებენ ერთმანეთს. შეიძლება, ანალიტიკური გონება გქონდეს და მწირი მასალებიდან სწორი დასკვნა გააკეთო, მაგრამ, ფაქტები რომ ერთმანეთს ემთხვეოდეს, წარმოუდგენელია. ამდენად, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ამ დოკუმენტის რუსეთის წინააღმდეგ გამოყენება გვინდა, რაც არასერიოზულია. რუსეთისთვის მოქნეული კომბალი კი ჩვენვე მოგვხვდება თავში.

**– და მაინც ამ დასკვნის დადების შემდეგ რას უნდა ველოდოთ?**

– ამ დასკვნას სამართლებრივი ძალა არ გააჩნია, მაგრამ მრავალი პოლიტიკოსი, სახელმწიფო მას პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებს. მაგალითად, ორმასამმა სახელმწიფომ, შეიძლება, ამ დოკუმენტზე დაყრდნობით აღიაროს აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ასევე, შეიძლება გამოყენებული იყოს ევროპასა და საქართველოს შორის ურთიერთობისას. ჩვენ ევროპას ვეღარ ვეტყვით, რომ დემოკრატები ვართ და რომ რუსებმა შემოგვიტიეს. საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ჰააგის სასამართლოში აქვს სარჩელი შეტანილი, სასამართლო ამ ფაქტებს ხელახლა განიხილავს და, არ არის გამორიცხული, კიდევ ერთხელ აღმოვჩნდეთ მძიმე მდგომარეობაში.

**ესაუბრა ნათია ქადაგიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს ღირსეული შვილები

## ეროვნული სულის რაინდი

როდესაც ეროვნული სულისა და ეროვნული ცნობიერების მქონე პიროვნებათა შესახებ სჯა-ბაასი იმართება ხოლმე, არ შეიძლება ტანში არ გაგაჟრჟოლოს და არ აგაღელვოს იმ მარად დაუვიწყარი ადამიანის გახსენებამ, რომელიც ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სული და გული იყო.

გენადი ნანავა... ჭეშმარიტი ქართველი, ფართოდ განსწავლული ინტელიგენტი, პოეტი, მოაზროვნე. რაოდენ დასანანი და სამწუხაროა, როცა ამ ჭეშმარიტი ქართველი შემოქმედის შესახებ წარსულში გიხდება საუბარი. დიახ! – ბატონმა გენადიმ უღვთო და მსახვრალი სიკვდილის გამოისობით, ძალზე ნაადრევად დატოვა არა მარტო ბრწყინვალე ოჯახი და ახლობლები, არამედ მთელი საქართველო, – საქართველო, რომელიც მისი იდეალი იყო.

2001 წლის 17 ნოემბერი... არ მინდა ჩემო მეგობარო გენადი, ჭეშმარიტო ქართველო, იმ ავბედითი დღის გახსენება. არ ვიცი, ასე ძალზე ნაადრევად, განგებამ რატომ ინება თქვენი იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადაბარგება, მაგრამ არა – შენ მაინც შენი უკვდავი ლექსებითა და ჭეშმარიტი ქართული სულით, მაინც ჩვენთან ხარ.

რა დამავიწყებს იმ დღეებს, როდესაც საქართველოს უჭირდა და შენ რომ არ დაახანე და დადექი იქ, სადაც დადგნენ სხვა ჭეშმარიტი მამულიშვილები, ეროვნული სულისა და ეროვნული ცნობიერების რაინდები.

ძალზე კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც საქართველოში დაემხო მტარვალთა და ვამპირთა დიქტატურა, თითქმის 70-წლიანი მოღვაწეობა წითლებისა, რომლებმაც ყოველივე ქართული იავარყვეს.

რაოდენ დიდი სიხარული გეწვია მაშინ, როცა საქართველოში მოვიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის – ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება.

შენ ბრძანდებოდი ის ქართველი რაინდი და ჭეშმარიტად ეროვნული სულის ადამიანი, რომელმაც მყისვე ხმა აღიმაღლე იმ უზნეობისა და ყოველგვარი მანკიერების წინააღმდეგ, რომელიც წითლების **„მმართველობის“** პერიოდში იყო გამეფებული. ვის არ ახსოვს შენი ომახიანი ხმა მიტინგებზე, ორატორული ნიჭი და ეროვნული აზრის ელვარება. მაგრამ, ვაი, რომ ბედუკუღმართმა ისტორიამ ქართველთათვის ჩარხი უკუღმა დაატრიალა. არა და არ დაგვეხსნა ელცინის კორუმპირებული კლანი, რომელიც ვერ შეეგუა ეროვნული ხელისუფლების ყოფნას – შოთას, ილიას, აკაკისა და სხვათა სამშობლოში.

**„როგორც სამშობლო, უფალი – ერთია ქვეყანაზედა“**-ო, ბრძანა ჭეშმარიტმა პოეტმა რაფიელ ერისთავმა. ელცინელთათვის კი სამშობლოს მცნება არ არსებობდა... არ არსებობდა ეროვნული რწმენა და მცნება. შენ იყავი ის ჭეშმარიტი ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელმაც უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადე კოსმოპოლიტიზმს, რომელთა იდეალი ერთიანი მსოფლიო მთვრობისა და ერთიანი მსოფლიო ერის არსებობაა დედამიწაზე.

თქვენ ძალზე კარგად გქონდათ გაცნობიერებული საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქის, ერისათვის წამებული რაინდისა და დევნილი ტრიუმფატორის – ბატონ ზვიად გამსახურდიას სენტენცია. ბატონი ზვიადი ბრძანებდა: **„ეროვნება აქვს მხოლოდ ცხოველს“**-ო.

ამდენად, ჩრდილოელმა **„ძმებმა“** და ოკეანისგაღმელმა იანკებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რათა საქართველოში დაემხოთ ეროვნული ხელისუფლება, საერთაშორისო იმპერიალიზმის საცეცები ვერასგზით ვერ მოვიცილეთ.

ქართული პოეზიის მშვენება, ჭეშმარიტი რაინდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ბატონ მუხრან მაჭავარიანი ბრძანებს:

**„სამშობლოს ჩემსას, ჩაფრენია დათვი თათებით,**

**ძლიერ უყვარდეს საქართველო ბრანგვსა ვითომდა,**

**მგონი, რაც ხდება კომუნისტსაც ესმის დადებითს,**

**შესაძლო თუა კომუნისტის დადებითობა“-ო.**

არამც და არამც, ჩემო მეგობარო გენადი, როგორც ბატონი მუხრანი ბრძანებს, არ შეიძლება კომუნისტი დადებითი პიროვნება რომ იყოს, ვინაიდან კრემლში გამობრძმედილი კომუნისტები არასოდეს არ ყოფილან ეროვნული სულისა და ეროვნული ცნობიერების მატარებელნი.

1991 წლის 22 დეკემბერი... ისევ აიყარა შავი ლეგა ღრუბლები საქართველოს ცაზე. გადემოკრატებულმა კომუნისტებმა და კრიმინალურმა ბანდებმა კვლავ დასძრეს საქართველოსკენ მძლავრი სამხედრო მანქანა იმისათვის, რათა პირისაგან მიწისა აღეგავათ საქართველო და დაემხოთ ეროვნული ხელისუფლება. მტარვალებმა, სამწუხაროდ, საწადელს მიაღწიეს, საქართველოდან განდევნეს პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელსაც შეიძლება ითქვას, ძალზე იშვიათად მოეძებნება პრეცენდენტი საქართველოს ისტორიაში. პირველი ეროვნული ხელისუფლების ბედი გაიზიარა მეორე ეროვნულმა ხელისუფლებამაც.

დაემხო რა ლეგიტიმური გზით არჩეული ხელისუფლება, შენ ამჯერადაც არ დაახანე, და შენი სათაყვანებელი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სტილში მჭიღშემართულმა ომახიანად წარმოვთქვი ფრაზები, რომელიც მარად გაუხუნარი და ყავლგაუსვლელი დარჩება იმ ქართველთა შორის, ვისაც სწამს ერი, ეროვნება, მშობლიური ენა და უპირველესად სამშობლო – ქვეყანა საქართველო. აი, შენი ეს უკვდავი ფრაზები, რომელიც მიტინგზე დასჭექე.

**„ვის ქართული უდუღს სისხლი ძარღვებში,**

**მსურს, ქართული ჩემი სიტყვაც ესმოდეს,**

**დეკემბერში, რუსთაველზე, ქუჩებში**

**ზვიადს არა... საქართველოს ესროლეს!“**

ბატონო გენადი! – დღესაც ჩამესმის ყურში შენი სიტყვები: **“ბატონო ამბროსი! – ქართველმა ერმა ვერ დავიცავით ეროვნული ხელისუფლებაო”.** რას იზამ, ბატონო გენადი... ძალამ მოხნა აღმართი, მაგრამ დადგება დრო და ისტორია მკაცრ ვერდიქტს გამოუტანს იმ მტარვალებს და კრიმინალურ ბანდებს, რომლებმაც იარაღის ძალით დაამხო საქართველოს კანონიერი ხელისუფლება.

ბატონი ზვიადი ბრძანებდა: **„ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა“**-ო. უფლის განგებით აღსდგება ისტორიული სამართლიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალზე ნაადრევად დაგვტოვე, შენი მადლიანი კალმით ერს დაუტოვე ისეთი ლექსთა კრებული – **„გეტრფოდე მიწყივ“**, როგორიც შენს რაინდულ სულსა და ეროვნულ მრწამსს ეკადრებოდა.

**ამბროს ფაილოძე,**
**აკადემიკოსი**

**P.S. გაზეთის 34-ე ნომერში სტატია “ქართულ-კოლხური ცივილიზაციის” ავტორად ნაცვლად რ. შალამბერიძისა მითითებული უნდა იყოს აკადემიკოსი ამბროს ფაილოძე.**

## ძაბული

ძაბული! – ასე იცნობდა მას რაიონში დიდი თუ პატარა, ინტელიგენტი თუ უბირი, შინაური და გარეშე. თუ ვინმემ მოირგო ღიმილი მშვენიერების საწყაოდ, ეს პირველ რიგში, მან მოახერხა. და ფიქრობთ, ამისათვის ძალისხმევა დასჭირდა? არა, ბატონებო, ეს მისი შინაგანი მომხიბლაობით ხდებოდა ისე, რომ თავად არ გრძნობდა.

სიკეთე მის ხელში გამოულეველი უნჯი იყო, არიგებდა და არ ილეოდა, პირიქით მატულობდა, მრავლდებოდა და ისიც არიგებდა.

ზემოთ ღიმილი ვახსენე, ჯადოსნური ძალა ჰქონდა მის ღიმილს. მასში ჩადებული იყო დიდი მადლი და მომხიბლაობა. მასში მჟღავნდებოდა მფლობელის სულის სიმდიდრე.

ხანდაზმულების და და მეგობარი იყო.

ახალგაზრდების – დედა და მეგობარი. მოხუცი ყოფილაო, იფიქროთ ეგებ. იყო ახალგაზრდა, ჩახედავდით მომხიბლავ თვალებში და თავს გეხვეოდათ მისი ქალურ-დედური სითბო, ზრუნვა.

ასეთი იყო ყოველთვის. ხედავდით და ფიქრობდით, ნუთუ არაფერი აღონებს? ეხ! მარად ღიმილისათვის ვის მოაცლის უკუღმართი წუთისოფელი. და მასაც აწუხებდა არაერთი ტკივილი, მაგრამ ყველამ თავისი უნდა ზიდოს ისე, რომ სხვას ერთი ფიორიც არ მოახვიოს. უყვარდა ნიჭიერი ახალგაზრდობა. ხანდაზმულებზე იტყოდა, მოხუცის აზრიც მოხუციაო და მისთვის დამახასიათებელი ქალურობით გადაიკისკისებდა.

ახალგაზრდის აზრი პატრონივით დაუდეგარიაო და ამდენად, მიმზიდველი, მოხუცსაც აახალგაზრდავებს.

დიახ, ნიჭიერი ახალგაზრდები უყვარდა, მით უფრო, თუ კალმის ნიჭი მოსდგამდა.

ჯერ კიდევ არც საოცრად დიდი დრო გვაშორებს. გაზეთის რედაქტორი იყო და ყოველ დილით მასავით სურნელოვანი ღიმილით გვეგებებოდა მისი გაზეთიც.

ბევრი ნიჭიერი კალმოსანი გამოზარდა.

ჰკითხეთ ომარ ხუხუას, სხვებს, ვინ დაავაჟკაცა მწერალ-მკითხველად და კვლავ ნაცნობი ღიმილით მოიხიბლები. მან ჩამოაყალიბა მწერლად სერგო ფაცაცია და იქნებ არ დაიჯეროთ, თვით დიდი გივი ელიავაც. როგორც კი შენიშნავდა დაღლილი აზრის შემოპარვას, დიახ, ბატონ გივისა და ჯოგოსაც შეუძახებდა.

რაც შეეხება მუზეუმს, ძაბული რომ არ ყოფილიყო, მუზეუმი არ იქნებოდა, ასე გვჯერა ჩვენ. ხშირად გვიფიქრია და დასკვნაც გაგვიკეთებია: გაზეთი და მუზეუმი? – ღმერთმა ერთმანეთისათვის გააჩინა.

ყველაფერი კარგი, ყველაფერი ახალი გაზეთისთვის უნდოდა. თუ მასალა ელოდა სათანადოდ მოუმზადებელი პირისაგან, თვითონ მიდიოდა. კაბინეტის კარს რომ შეუღებდი, გაცინებულ მშვენიერ მანდილოსანს კი არა, ციურ მნათობს ეჯიბრებოდა თითქოს. შემოგაშუქებდა ლამაზ თვალებს და შენი უსაქმოდ ყოფნა ღმერთს ეწყინებაო, ღმერთის გამოგზავნილი ხარ ახლაო და ფორმატის ორ-სამ ფურცელს ამზადებდა, ზედ ავტოკალამს დაადებდა და ადგილს გაათავისუფლებდა, სანამ დავალებას არ შეასრულებდით, წასვლაზე უარი იყო თქმული.

დღე და ღამე მოუსვენარ გაწამაწიაში ილეოდა. შინ მისული უქალო ოჯახის საქმეებს მანამ არ შეეშვებოდა, სანამ საქმეს არ შეელეოდა.

გაზეთის რედაქტორი, კპ რაიკომის ბიუროს წევრი, რაისაბჭოს აღმასკომის წევრი, კონტროლის პალატის კომიტეტის წევრი, თათბირები, სხდომები და ერთი ღვთის გაჩენილი, ანგელოზზე უმშვენიერესი ქალი.

მადლი? – მადლად ქცეული იყო, დაუფასებელ მადლად.

ასე მგონია, მკვდარიც იღიმება, ვითომ? – რა გააცინებს, ერთი მადლობაც არ ვაღირსეთ...

ერთი მადლობაც...

არადა ამ მანდილოსნისთანა ქალბატონი იშვიათად იბადება.

მუზეუმი და ლუდმილა მოწერელია ერთად იარსებებენ.

**პეტრე კირთაძე**

## საჭიროა მსოფლიო გაეცნოს ჩვენს წარსულს

2009 წლის 4 ოქტომბერს, თბილისის წმინდა სამების ტაძრის ახალგაზრდობის ინტელექტუალური განვითარების დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია დოკუმენტური ფილმისა **“საქართველოს ხერხემალი”,** რომლის რეჟისორი გახლდათ ბატონი ლექსო გელაშვილი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მეცნიერები, მკვლევარები, ხელოვნებისა და განათლების ღვაწლმოსილი მუშაკები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

ფილმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართველი მეცნიერის, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გია კვაშილავას მიერ შექმნილ უნიკალურ ალგორითმს, რომლითაც მან მოახერხა კუნძულ კრეტაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი **“ფესტოსის დისკოს”** გაშიფვრა. ეს დისკო კი 100 წლის განმავლობაში ინახებოდა ლონდონის ენათმეცნიერების მუზეუმში და მსოფლიოში აღიარებულმა მეცნიერებმა მისი წაკითხვა ვერ მოახერხეს. საუბარია არა მხოლოდ თიხის გამომწვარ ფილაზე გადატანილი ერთი კოლხური ჰიმნის გაშიფვრას, არამედ იმას, რომ ბატონმა გია კვაშილავამ შეიმუშავა პროტოქართული ნაწერების წაკითხვის ალგორითმი, რაც კიდევ სხვა უამრავი საიდუმლო ტექსტების გაშიფვრაში დაეხმარება მეცნიერებს.

სამწუხაროა, რომ გია კვაშილავა, რომლის მიგნება აღიარა მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა წრემ, გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება სწორედ საქართველოში, თითქოს ის, რომ **“ფესტოსის დისკოს”** გაშიფვრა მოხერხდა მხოლოდ მეგრულ ენაზე დაყრდნობით, ოდნავ მაინც აკნინებდეს ქართული ენის ღირსებას.

ფილმის ჩვენების შემდეგ პრეზენტაციის მონაწილეებმა საკუთარი აზრი დააფიქსირეს. ფილმის ღირსებებზე ისაუბრეს აკადემიკოსმა ბატონმა ვაჟა ეგრისელმა, ამერიკაში მოღვაწე ქართველმა პროფესორმა, ქალბატონმა დოდონა კიზირიამ, საპატიო დოქტორმა როლანდ ჯალაღანიამ, პროფესორმა, ბატონმა აკაკი გასვიანმა, პროფესორმა, ბატონმა ზურაბ კიკნაძემ, ქალბატონმა მანანა სოტკილავამ და სხვებმა. თითქმის ყველა გამომსვლელმა ერთხმად აღნიშნა, რომ აუცილებელია დოკუმენტური ფილმი **“საქართველოს ხერხემალი”** ითარგმნოს რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ ენებზე, განთავსდეს საქართველოს საპატრიარქოს ინერნეტგვერდზე და სხვა საიტებზეც, რათა მსოფლიოს ქვეყნებს მიეცეთ მისი გაცნობის შესაძლებლობა.

**გაზეთ “ილორის”**
**რედაქცია**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტალურგიული წარმოების ნაშთები

**(სამეგრელოს მხარის მხარის მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალების შუქზე)**

ანტიკური ეპოქის კოლხეთის ისტორია, მისი კულტურა და ყოფა, მრავლისმეტყველია. როგორც ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, ანტიკურ კოლხეთში მეტალურგიული წარმოება მაღალ დონეზე ყოფილა განვითარებული. კულტურულად დაწინაურებული კოლხეთის ტერიტორიაზე, როგორც ისტორიული წყაროები მეტყველებენ, ნეოლითისა და ენეოლითის ეპოქაში და მათ კერებზე, მრავალ ადგილას იქნა აღმოჩენილი უძველესი მეტალურგიული წარმოების ნაშთები. როგორც მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ელიავა მიიჩნევს, **„უძველესი მეტალურგიული წარმოების მასალები აღმოჩენილ იქნა ისტორიული საჭყონდიდელოსა და სალიპარტიანოს ტერიტორიაზე“.**

საზოგადოების განვითარების კვალობაზე, კიდევ უფრო ვითარდებოდა და იხვეწებოდა მეტალურგია, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგი. საქართველოს სინამდვილეშიც განვითარდა მეტალურგია, რომელიც ორ დარგად იყოფა – შავი მეტალურგია და ფერადი მეტალურგია.

მეტალურგიის მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში გახლდათ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფერდინანდ თავაძე.

ტერმინი **„მეტალურგია“** ბერძნული წარმოშობის სიტყვაა (ბერძნ. **metallurgeo** რაც ნიშნავს ლითონის დამუშავებას). მეტალურგია წარმოადგენს მძიმე მრეწველობის დარგს, რომლის საქმიანობას შეადგენს მადნიდან ლითონის მიღება და მისი პირველადი დამუშავება.

მეტალურგია მეცნიერების ისეთი დარგია, რომლის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ლითონთა სამრეწველო წარმოება და მათი პირველადი დამუშავება.

მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე მუზეუმის დირექტორის – ბატონ გივი ელიავასა და მისი ექსპედიციის მიერ არქეოლოგიური გათხრების შედეგად, არაერთგან აღმოჩენილ იქნა მეტალურგიული წარმოების ნაშთები. ექსპედიციამ მეტალურგიული კულტურის მსგავსი ნაშთები იპოვა მარტვილის ფერდობზე. კავით ნახნავ ადგილზე აკრეფილ იქნა ნეოლითისა და ენეოლითური კულტურის ხანის ადამიანის იარაღები – კაჟისა და რიყის ქვის სახით.

როგორც მკვლევარი გ. ელიავა მიიჩნევს. ამ ფერდობზე აღმოჩენილი მასალები **„მეტალურგიული წარმოების შესანიშნავ მასალათა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან იმაზე, თუ როგორ იყო დაწინაურებული ქვის ხანის პირობებში ადამიანის ტექნიკა, როგორ მაღლდებოდა ადამიანი გონებრივად“.**

იმდროინდელი საქართველო ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებული ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რაზედაც ნათლად მეტყველებენ ადრინდელი საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის ნაშთები: ქურები, ყალიბები და სამსხმელო იარაღები, წიდა, ათასგვარი ნაკეთობანი და მადნეულის უძველესი მაღაროები.

მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე არაერთგან არის აღმოჩენილი მეტალურგიული წარმოების კერები. აი, ის ადგილებიც: ნაცაცხვერა, **„გინაჩამალი“,** ბახოს უძველესი სამაროვანი, სადაც მიკვლეულ იქნა უძველესი მეტალურგიული წარმოების ნაშთები.

აღსანიშნავია სოფელ ნახუნაოში აღმოჩენილი მეტალურგიული წარმოების ნაშთები ადგილ წიდაზე, კაკი ცანავას ეზოში. ასევე, ადგილ **„ნაოხვამუს“** და **„ჭკადურობუს“** ველზე გათხრების შედეგად აღმოჩენილია ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების კერები. ეს მასალები ჩართულია მუზეუმის ექსპოზიციის საგამოფენო დარბაზში, რომლის ფოტოსურათები თან დაერთვის ზემოთ დასახელებულ ნაშრომს.

დოც. გ. ელიავას კვლევის ძირითად საკითხს შეადგენდა სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში უძველესი მეტალურგიული წარმოების ისტორიის საკითხის შესწავლა.

1960 წელს, მუზეუმში ჩატარებულ პირველ სამეცნიერო სესიაზე წარმოდგენილ მოხსენებაში **„უძველესი მეტალურგიული წარმოების ისტორიისათვის სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილში“,** ბატონი გივი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ **„აქ მცხოვრებნი** (იგულისხმება სამეგრელოს აღმოსავლეთი ნაწილი – გ. ე.) **უძველესი დროიდან მისდევდნენ მეტალურგიულ წარმოებას, ლითონის დნობასა და გამოყენებას იარაღის დასამზადებლად. ლითონის სადნობ ორმოქვაბებში და თიხის ქოთან-ქურებში ხდებოდა ლითონის დნობა. ლითონის დნობის პროცესი ქვაღორღისაგან საბერველის გამოყენებით ფოტოსურათების სახით ჩართულია საგამოფენო დარბაზში. გროვდება საკმაო რაოდენობის ლითონი, რომელიც მაშინდელი დროის შესაბამისად, უმაღლესი ხარისხის ლითონს წარმოადგენდა. მეტალურგიულ წარმოებასა და ლითონის დნობას ეწეოდნენ მსხვილი გვაროვნული ოჯახები“.**

როდესაც საკითხი სამეგრელოს აღმოსავლეთ ნაწილის უძველეს მეტალურგიულ წარმოების ისტორიას ეხება, არ შეიძლება თვალთახედვის არეში არ მოექცეს იმდროინდელი სპილენძის წარმოების მასალა, რომელიც თავის მხრივ, საინტერესო მასალას წარმოადგენს მეცნიერული თვალთახედვით. ეს მასალა აღმოჩენილია დგომში, ადგილ **„ჩეჩონაში“.**

ბრინჯაოს კულტურამ შეცვალა სპილენძის კულტურა. ბრინჯაოს კულტურის რელიქვიები საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული, როგორც რელიქვია. სოფ. კურზუში არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გათხრილ იქნა ორი საფლავი – ერთი შედარებით მდიდარი და მეორე გაცილებით ღარიბი.

აი, ის უნიკალური მასალები ბრინჯაოს ეპოქისა, რომელიც სოფ. კურზუში არის აღმოჩენილი: თოხები, სეგმენტური იარაღები, კოლხური ცული, დანა, რკინის პირი, ბრინჯაოს ხმალი, ფიბულები, ზარაკი, ავგაროზი და სარტყლის სამკაულები.

მკვლევარ გ. ელიავას და მისი ექსპედიციის წევრების მიერ, გათხრების შედეგად მსგასი მასალები ნაპოვნია სოფ. სალხინოში, ადგილ **„ქუთუს“** ნაკარუში, გურძემში, ნალეფსაოში, ნახუნაოში, დოშაყეში, კიწიაში. **„დასახელებულ ადგილებში ხშირად გვხვდება ბრინჯაოს ზოდების დიდი განძი და ერთეული ეგზემპლარებიც. მეტალურგიული წარმოების კერებთან ხშირად გვხვდება ბრინჯაოს წვრილმანი ნამცეცები და წიდებიც კი“.**

ბრინჯაო შესცვალა რკინამ, რომელსაც მაშინ ვერცერთი ცნობილი ლითონი ვერ შეედრებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში საყოველთაოდ არის აზრი გაბატონებული იმის შესახებ, რომ კოლხეთში მეტალურგიული წარმოება მაღალ დონეზე იდგა. იგი ჩაისახა ჯერ კიდევ ქვის ხანის პერიოდში, როდესაც ქვის გარდა სხვა ტექნიკა არ არსებობდა. ქვა იყო თავდაპირველი ტექნიკა, რომელსაც ადამიანი იყენებდა.

იმდროინდელი ტექნოლოგიური პროცესები ლითონის დამუშავებისა, მეტად პრიმიტიული იყო. როგორც პროფ. ნ. რეხვიაშვილი აღნიშნავს, რკინის უძველესი მეტალურგია შესდგებოდა რამდენიმე პროცესისგან. ჯერ ხდებოდა მადნის დანაყვა, აწყვა და შერევა, შემდეგ მისი დაწურვა ცივსაბერ ქურაში. მნიშვნელოვანი პროცესი იყო წურვა. წურვით თავისუფლდებოდა ლითონი მინარევებისაგან და მიიღებოდა მეორადი ნედლეული შემდგომში უფრო ადვილი დამუშავებისათვის.

დაწურვას მეგრულად **„ჭახუას“** ეძახიან. მეგრელები იტყვიან: **„ყურძენი დოვჭხათ“** – ყურძენი დავწუროთ. შესაბამისად ამისა, ამ პროცესს ჩვენს მხარეში **„ჭახუა“** ეწოდება. უძველესი მეტალურგიული წარმოების კერები ნაპოვნია ლეჭახაში, რომელიც ლებარდის ქვემოთ, მთაშია. ეს ადგილი მდიდარია უძველესი მეტალურგიული წარმოების უნიკალური მასალებით.

მკვლევარი გ. ელიავა ეყრდნობა თ. თოდუას გადმოცემას ლეჭახას ან ენჭეხას ადგილის სახელწოდების შესახებ. თ. თოდუას გადმოცემა დაცულია მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამეცნიერო მასალათა ფონდში.

**„არქეოლოგიური გათხრები ადასტურებენ, რომ ლეჭახაში აღმოჩენილ იქნა მეტალურგიული წარმოების ისეთი მასალები, როგორიცაა: ტიგელის კედლები, მილაკები, წიდები, სხმული და სხვა. ეტყობა, ლეჭეხაში ლითონის წურვას მისდევდნენ და ადგილსაც ეს სახელი მისგან შეერქვა. „ლებ“ ან ე-სადაურობის მაჩვენებელი თავსართია მეგრულში. „ჭახა“ ანუ „ჭეხა“ ნიშნავს „ჭახუას“ ანუ წურვას.**

**გარდა შავი „წიდისა“, „ნაჭკადუერისა“, „ნოჭკადენისა“ და სხვა, ჩვენ დღემდე შემოგვრჩა ადგილის სახელწოდებით უძველესი მეტალურგიული პროცესის აღმნიშვნელი სიტყვა „ჭახუა“. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს ისე შორეული ამბავია, რომ აქ წარმოების მომსწრე ან მის შესახებ რაიმე დაწერილებითი ამბის მცოდნე არავინ დარჩენილა.**

**გადმოგვცემენ, რომ აქ უხსოვარ დროს ჩვენს წინაპრებს რკინის წურვა უწარმოებიათ. აქედან არის წარმომდგარი სახელწოდება ლეჭეხაო, მაგრამ როგორ სრულდებოდა წარმოების პროცესები, ამაზე არავის შეუძლია ცნობის მიწოდება“.**

ამრიგად, მხარის მეტალურგიული წარმოების ნაშთები, მუზეუმში დაცულ სხვადასხვა სახის მასალებთან ერთად, საყოველთაო ყურადღებას იმსახურებს. ამ ნაშრომში, რა თქმა უნდა, ჩვენ მოკლედ შევეცადეთ წინა პლანზე წამოგვეწია მხარის ის მასალები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მხარეში მეტალურგიის მეცნიერების განვითარებასთან. ამ მასალების ღრმა მეცნიერული კვლევა და დღის სინათლეზე წარმოჩენა, შემდგომში მუშაობის საკითხთაგანია.

**გივი (გია) ელიავა,**
**მარტვილის**
**მუნიციპალიტეტის**
**კულტურის ცენტრის**
**დირექტორი**

# წიგნის გამოცემაში მთავარი ფულია!

...ყარიბის **„წითელი წიგნი“-**ს ქართულად თარგმნა რომ დავასრულეთ, მაშინვე გადავწყვიტეთ მისი ინგლისურ ენაზეც თარგმნა და ქართულ-ინგლისურად გამოცემა. ქეთი ბიწაძემ, ჩვენმა უდაოდ ნიჭიერმა მთარგმნელმა, მუყაითად იმუშავა და საოცრად მოკლე დროში მოგვიტანა სასტამბოდ გამზადებული **„წითელი წიგნი“-**ს ელექტრონული ვერსია ინგლისურ ენაზე.

თითქოს მთავარი საქმე გაკეთდა, მაგრამ მთლად ასე რომ არ იყო, ჩვენც კარგად ვიცოდით. მარტო წიგნის თარგმნას რა აზრი აქვს, მთავარი მისი გამოცემაა, თორემ იგი უჩვენოდაც – **კარგად და საგულდაგულოდ ჰქონდათ საქართველოს კომუნისტურ მთავრობას და სომხური ორიენტაციის ქართველ ისტორიკოსებს გადამალული.**

სწორედ ამ დროს ჩამოვიდა საქართველოში ჩვენი ერთი **„ბიზნესმენი“** მეგობარი – ასე დავარქვათ: **ისაკიჩი** უცხოეთიდან (არა, **„სოლომონ ისაკიჩი“,** არამედ მისი შორეული შვილთაშვილი!). თვითონვე მოგვიკითხა. გაგვიხარდა. ვიფიქრეთ, ეშველა ჩვენს წიგნსო და მეორე დილას ხინკალზე რომ დაგვპატიჟა, კინაღამ ანონსი მივეცით **„ილორში“** ახალი წიგნის გამოცემის თაობაზე. შაბათ დილას, მართლაც კარგად მოვულხინეთ, ვიხუმრეთ, ახალი და ძველი ანეგდოტები მოვყევით და როგორც წესი, ბოლოსთვის შემოვიტოვეთ ჩვენი მთავარი სათქმელი – **ახალი წიგნის გამოცემა!**

თითქოს მიგვიხვდა ჩვენი მეგობარი **„ბიზნესმენი“** და თვითონვე გადაერთო ჩვენთვის საინტერესო თემაზე. ბრძენის სახე მიიღო და საკმაოდ შეფარული ირონიით მკითხა – **„რაო, რას ეხება?.. რა ფერის იყო ის წიგნი, გუშინ რომ მიყვებოდი?“** ეს რომ გავიგონე, კინაღამ ნახევარზე დაყვანილ ლუდის კათხას სატუჩე მოვაკვნიტე!.. ჩემს წინ მჯდარ როლანდს მოკბეჩილი ხინკალი სასულეში გადასცდა და მის ხველას რომ არ შევეწუხებინეთ, ოთახიდან გავიდა... არც მე დავახანე და რომ იტყვიან პირდაპირ ვაჯახე ხმამაღლა – **წიგნი შავ-თეთრია, სათაურია-მეთქი „წითელი წიგნი“.**

რაღაც ისე რომ არ გამოუვიდა, ამას მაშინვე მიხვდა **ისაკიჩი,** მაგრამ არ შეიმჩნია და ხუმრობა სცადა – **„ხომ იცი მე „ბიზნესმენი“ ვარ, წიგნის გამოცემა პრობლემა კი არ არის, მე ფულს ვერ ვხედავ აქ. ფული სად დევს, ამას თუ დამანახებთ, წიგნის დაბეჭდვას წინ არაფერი დაუდგება!..“**

ეჰ, მაგი რომ ვიცოდე ფული სად დევს, ამხელა ბიზნესმენს როგორ შეგაწუხებდით, შე მართლა მეჯღანუაშვილო!

რას გეტყვი იცი, ჩემო **ისაკიჩ?**

– დიდვაჭარმა გულბეკიანმა 1904 წელს ვასილ ველიჩკოს **„კავკასიის“** მთელი ტირაჟის შესასყიდად და გასანადგურებლად 5 მილიონი ფუნტ სტერლინგი (300 მილიონ დოლარზე მეტია ის დღევანდელი კურსით) გადაიხადა.

იცი რატომ ქნა ეს ამბავი?

საიდანღაც გაუგიათ სომხებს, რუსი ველიჩკოს წიგნში სომხები არიანო გალანძღული და განგაში აუტეხავთ. ლონდონშიც ჩაუღწევია განგაშის ხმას და დიდვაჭარ გულბეკიანის ყურამდე მისულა. ამდგარა ეს პატრიოტი სომეხი, თავისი ხალხი მოუხმია, ფული მიუცია და სასწრაფოდ გაუგზავნია სანქტ-პეტერბურგს მთელი ტირაჟის შესასყიდად. ასე მომხდარა ეს ამბავი!..

საოცარი არ არის ჩემო **ისაკიჩ?** – მართლაც სომეხი უნდა იყო და სომეხივით უნდა გიყვარდეს სამშობლო, ასეთი დიდი პატრიოტული საქმე რომ ჩაიდინო!

შენ რომ სომეხი იყო, ჩვენ არ შეგვეკითხებოდი ფული სად დევს მაჩვენეთ და მერე გამოვცემ წიგნსო!..

კიდევ რაღაცის თქმა დააპირა **„ისაკიჩმა“**, მაგრამ მაშინვე მივუხვდი და დავასწარი რომ არ ეთქვა – **„მაგრები არიან სომხებიო!“** და იქვე განვაგრძე: **ხომ ხედავ ჩემო როლანდ – ხანდისხან სულ ტყუილად ვეკამათებით სომხებს!..**

**დავით ქობალია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

# კორნელი ბოროზდინი

თუ კაზაკობა საუკუნეთა განმავლობაში ასრულებდა და, ფრიად არახელსაყრელ პირობებში, ახლაც ასრულებს რუსეთის სახალხო-საბრძოლო ამოცანას, მაშინ კავკასიის არმია ღირსებით ასრულებს რუსულ საქმეს სამხედრო-კულტურულ სფეროში. მისი მნიშვნელობა ძალზე დიდია მშვიდობიან პერიოდშიც კი, ერთის მხრივ, იმიტომ, რომ მისი გმირული დიდებისა და ძლიერების წინაშე შიში მყარად არსებობს მხარეში, მეორეს მხრივ კი, ჩვენი კავკასიელი მეომრები წარმოადგენენ უაღრესად საიმედო, მაღალსულიერ და ყოველმხრივ დამშვენებულ ადამიანებს. რუსული სახელგანთქმული პოლკების მიერ გამართულმა საუკუნოვანმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომებმა დატოვა იმდენად გმირული სახელი და შესანიშნავი ტრადიციები, რომ მისი ავტორიტეტის შერყევა არ ძალუძთ არც პროტექციით დანიშნულ შემთხვევით სამხედრო უფროსობას, არც რუსული საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების მქონე ადამიანებს და არც მტრულად განწყობილ ადგილობრივ მოსახლეობას.

აი შინაარსი უსლარის უზარმაზარი მოხსენებისა.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამ მოხსენებამ გაგარინი გამოაცოცხლა. მისის აზრით, იმდენათ საკმაოთ იყო დასაბუთებული ეს მოხსენება, რომ შეიძლებოდა ბარიატინსკის დაჯერება იმაში, რომ უსლარი მიზანშეწონილად მოქმედებდა. ამიტომ იმანაც აიღო ეს მოხსენება უსლარისა და სავსებით წარუდგინა ბარიატინსკის. ამასთან, მოიწვია კონსტანტინე დადეშქელიანი, ამხელად მეტად სერიოზულად და ცივად დაუხვდა და უთხრა თვითონ წასულიყო ტფილისში: ტფილისში შეგეძლებათ მეფისნაცვალს აუხსნათ თქვენი მდგომარეობა და ისიც გეტყვით, თუ რა მიმართულებას მისცემს თქვენს საქმეს.

ეს სვანეთი საზღვრავდა ჩვენს ურჩს დალის ხეობას და არამთუ არ გვიფარავდა დალისაგან, პირიქით მასთან კავშირი ფქონდა ჩვენს წინააღმდეგ და იმავე დროს განუწყვეტლივ თავს ესხმოდა გასაძარცვავად თავისუფალ სვანეთის საზოგადოებადთ. ამიტომ უსლარმა ყურადღება არც-კი მიაქცია კონსტანტინეს წასვლას, ჩავიდა ეწერამდე და მალე დარწმუნდა, რომ აქ მდგომარეობა, რომ ეგონათ, იმაზე გაცილებით საშინელი ყოფილა. ამ მდგომარეობას უსლარი ოსტატურის კალმით აგვიწერს. სვანეთი ისთვის უუმდიდრეს მასალას წარმოადგენდა როგორც თავის ოროგრაფიულ, ისე სოციალურ პირობებით. ცას ქვეშეტში ასეთი კუთხე მეორე არ მოიძებნებოდა. ცივილიზაცია საოჯახო კავშირის პირველყოფილ ფორმაზე გაყინულა, მამას განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა თავის ოჯახის წევრებზე; ქალი ყოველსავე უფლებასაა მოკლებული; სარწმუნოება არ არსებობს, მის მაგივრად რაღაც ნარევი კერპთაყვანისმცემლობის, მუსულმანობის და ქრისტუიანობის წესებისა; უმეცრება ანუ, უკეთ, ველურობა; სოციალური ურთიერთობა დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ უფრო ძლიერის მკლავზე; სისხლის აღების გამო გაუთავებელი დავა; ამასტან ჰავა სასინლად სუსხიანია, მწირი არაფერს ადგილობრივს წყაროს იძლევა კეთილ ცხოვრებისათვის, აქაურობა მიუვალია. მოწყვეტილია მთელ ქვეყნიერებას.

აი ასეთ სჩინო ფონზე დაჰხატა უსლარმა თავისი სურათი, და ამ სურათის ამ პირველ ადგილას იდგა, რა თქმა უნდა, დადეშქელიანი, რომელიც დესპოტურად უფლობდა იმდენათ თავისს საკუთარს სამტავროს, რამდენად მეზობელი თავისუფალ სვცანეთის საზოგადოებათ. შეაუძლებელი იყო ასეთის მდგომარეობის მოთმენა. უსლარი ეწერში რომ შევიდა, გროვა დახვდა თავისუფალ სცვანეთის საზოგადოებათა მცხოვრებლებისა, ყველანი კონსტანტინესულმობელობას უჩივოდენ: აქედან ის ევერ გავალო,– სწერდა უსლარი,– სანამ შეძლებისა და კვალად არ დავაკმაყოფილებ მომჩივათა ბოჭაულისკანონიერ ძალა-უფლებას პირველ საძირკველს არ ჩავუყრიო. დადეშქელიანისათვის თავის სამთავროში დაბრუნების უფლება არამცდაარამც უნდა მიეცათ. ეს უსლარმა მრავალის საბუთით დაასაბუთა ცალკე დამატებითს მოხსენებაში. თუ როგორ რა სახით უნდა დაჯილდოვდეს დადეშქელიანი მისგან ჩამოსართმევ სამთავროს და ქონებისათვის, ამის შესახებ თავის მოსზრების წარმოდგენას უსლარი ჰპირებოდა ცალკე პროექტში, თუ დამატებით მოხსენებასთან არა, იმის წარმოდგენის შემდეგ მაინც.

აი შინაარსი უსლარის უზარმაზარი მოხსენებისა.

ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ამ მოხსენებამ გაგარინი გამოაცოცხლა. მისის აზრით, იმდენათ საკმაოთ იყო დასაბუთერბული ეს მოხსენება, რომ შეიძლებოდა ბარიატინსკის დაჯერება იამში, რომუსლარი მიზანშეწონილად მოქმედებდა. ამიტომ იმანაც აიღო ეს მოხსენება უსლარისა და სავსებით წარუდგინა ბარიატინსკის. ამასთან, მოიწვია კონსტანტინე დადეშქელიანი, ამხელად მეტად სერიოზულად და ცივად დაუხვდა და უთხრა თვითონ წასულიყო ტფილისში: ტფილისში შეგეძლებათ მეფისნაცვალს აუხსნათ თქვენი მდგომარეობა და ისიც გეტყვისთ, თუ რა მიმართულებას მისცემს თქვენს საქმეს.

კონსტანტინე ტფილისში წამოვიდა, მაგრამ ამ წამოსვლამ ვერ დააკმაყოფილამ. ვერდაკმაყოფილა ბარიატინკსიმ მისი ნახვა არ ისურვა, და მას ელაპაარკა, მოხლოდ დ. ი. მილუტინი. ბარიატინსკის მახლობელნი მერე, გვიამბობდენ, რომ სვანეთის მთელმა ისტორიამ საზოგადოდტ სახე დაუღრიჯა და უსლარის მოხსენება რომ წაიკითხა, ირონიულად სთქვა თურმე: **„je trouve que cette literature me revient trop cher”**). მისვე აზრით, ეს სვანეთის ფილანტროპია შეიძლებოდა უფრო იაფადაც გაეკეთებინა კაცს და უექსპედიციოდაც. დადეშქელიანის ჩამოსვლა ტფილისში ნაადრევად ჩათვალეს; სანამ უსლარისაგან დამატებითი მოხსენება არ მოუვიდოდათ, დადეშქელიანთან საბოლოოდ საქმის გათავება და ყველაფრის ლიკვიდაცია შეუძლებლად მიიჩნიეს, და ამიტომ გადაწყვიტეს კონსტანტინე დადეშქელიანი ისევ ქუთაისში დაებრუნებინათ, რადგან დადეშქელიანს თავის მდგომარეობით განსაკუთრებითი თვალყურის დევნება და ბევრს რაშიმე ხელმძღვანელობა სჭიროდა, ბარიატინსკიმ საჭიროდ და სასარგებლოდ მიიჩნია, მისთვის მზრუნველად მიეჩინა პოლკის უფროსი ბარტოლომეი და მისსავე განკარგულებაში გადაერიცხა დადეშქელიანის სახარჯოდ ფული, რამდენიც სჩირდებოდა.

ამნაირად ამ საქმეში ახალი მოქმედი პირიც გაერია, და საჭიროდა ვთვლით მკითხველთ ისიც გავაცნოთ.

ივანე ალექსის-ძე ბარტოლომეი ამხანაგი იყო თავად ბარიატინსკისა გვარდიის პოდპრაპორშჩიკებისა და კავალერიის იუნკრების სწავლაში წასვლის დროს. თავის სამსახური დაიწყო ლეიბგვარდიის ეგერთა ლეგიონში. შეძლებული იყო, მშვენიერად იცოდა რამდენიმე ენა, განსაკუთრებით ფრანგული. ერთის სიტყვით, ყველაფერი ხელს უწყობდა, რომ საზოგადოებაში წარმატებული, საჩინო ყოფილიყო, კარგი კარიერა შეექმნა, გარეგნობითით უშნო რომ არ ყოფილიყო, ეს კი ძალიან უშლიდა ხელს: დაბალის ტანისა იყო, წითური-მოთეთრო ფერიას, თვალზედაც ლირბი ჰქონდა გადაკარგული. ასეთის სახის პატრონი არავის მოსწონდა, განსაკუთრებით მშვენიერს სქესს, და პირველადვე, როგორ კი მოიწადინა საზოგადოებაში თვი გამოეჩინა, ამბობენ, ხელი არ მოემართაო. გაგიჯებით შეჰყვარებია ერთი მეტად მშვენიერი და მდიდარი საპატარძლო, მაგრამ ქალს ცივი უარი უთქვას, და ამ უარს ისე დაუღონებია და აღუშფოთებია, რომ ხალხში გამოსვცლაზე ხელი აუღია, ჩაკეტიკა თავის მარტოხელა კაცის სენაკში დამ თელის თვისის ძალ-ღონით და ენერგიით შესდგომია აღმოსავლეთის ენების შესწავლას, მაშინდელ ცნობილ რუს ორიენტალისტების კაზემბეკისა და გრიგორიევის სახელმძღვანელოებით. ამასთავანე ერთად გაჰღვიძებია სურვილი კოლექტორობისა და განსაკუთრებით ნუმიზმატიკურისა. ჯერ აგროვებდა ყველა ხალხის დაყ ველა დროის ფულებს, შემდეგში ამ დარგში სპეციალობის გზას დასდგომია, აგროვებდა მხოლოდ ძველ სპარსულ ფულებს და ისიც მხოლოდ და მხოლოდ სასანიდების დინასტიის ხანგრძლივ პერიოდის ფულებს, ამ სპეციალობასთან და აგრეთვე აღმოსავლეთის ლიტერატურათა შესწავლასთან დაკავშირებით, ბარტოლომეი ეცნობოდა მეცნიერების სხვა დარგებსაც, მაგალითად: არქეოლოგიას და პალეოგრაფიას. მისმა შრომებმა ნუმიზმატიკაში და ზედმიწევნით კლასიფიცირებულ სპარსულ ფულების მისმა მდიდარმა კოლექციამ მსწავლულთა ყურადღება მიიქცია, განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ბარტოლომეის დამფასებლად გამოუჩნდა ცნობილი არქეოლოგოსი და ნუმიზმატი სორე (შორეტ), რომლის მეშვეობით არჩეულ იქნა მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიის წევრად.

უკვე კაპიტანის ხარისხი ჰქონდა ბარტოლომეის, როცა ვორონცოვი კავკასიაში დაინიშნა. იმასაც მოეგუნება კავკასიაშივე გადმოსულიყო სამსახურში იმისთვის, რომ აღმოსავლეთს უფრო კარგად გასცნობოდა. ვორონცოვმა დიდის სიამოვნებით აიყვანა თავის განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელედ, და აქედან იწყება კავკასიაში სამსახური ბარტოლომეისა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ორმოციან წლებში ბარტოლომეი კოლუმბი იყო სვანეთისა, მერე კი ჰგაზვნიდენ სპარსეთში (ბრუსილოვთან ერთად), და ჟამ-დაჟამ მონაწილეობას ღებულობდა მთიელთა წინააღმდეგ მოწყობილ ექსპედიციებში. სხვათა შორის, ერთ-ერთ ამ ექსპედიციების დროს საკვირველად იყო დაკოდილი: ფრენაშესუსტებული ტყვია მოჰხვედრია სწორე დიმ ალაგას, საცა გულია; ტყავის გვაბანაკი სცმია და ტყვიას გვაბანაკში გაუვლია; მის ახლომდგომნი გვაბანაკის ქვეშიდან გამონაჟონ სისხლზე მიმხვდარან, რომ ბარტოლომეი დაკოდილი იყო. ტყვიის მიმართულება ისეთი ყოფილა, რომ დაჭრილობა უეჭველად მომაკვდინებელად უნდა ჩაეთვალათ; ბარტოლომეი ამას თვითონაც მიმხვდარა და აღელვებისაგან გული წასვლოდა; მაგრამ ტანთ რომ გახადეს ,ტყვია თურმე იატაკზე გაგორდა. აღმოცნდა, რომ ტყვია თურმე გასულა გვაბანაკში, გასულა აგრეთვე მუნდირში, შემდეგ მკერდი გაუფხაჭნია, მაგრამ მეტი ძალა აღარ ჰქონია შიგ შესულიყო. ბარტოლომეის ეს მუნდირი სწორეთ გულს პირდაპირ დაუკერებინებია და მერე დიდხანს უტარებია.

ბარტოლომეი ერთხანს მეჯლისის (მუსულმანთა სასამართლოს) თავჯდომარედ ყოფილა ჩეჩნებში სლეპცოვის დროს და მშვენივრადაც ასრულებდა თურმე ამ მძიმე სასმახურს: რა თქმა უნდა, როცა ბარიატინსკის მეფისნაცვლობა მისცეს, ბარტოლომეის, რიოგორც მის სკოლის ამხანაგის, პატივმოყვარულმა იმედებმა ძალზე შეიჩუჩუნა და იგი სულმუდამ ატუზული იყო ბარიატინსკის წინაშეს სხვა „წინწაწევის მსასოებელთა“ შორის. ამ მრავალთა შორის მაშინ მ.ტ. ლორის-მელიქოვიც იმყოფებოდა.

ბარიატინსკი, როცა ბარტოლომეი დადეშქელიანთან მზრუნველად დანიშნა, კმაყოფილი იყო, რომ „მსასოებელთა“ რიგი შემცირდაო.

მაგრამ ნამდვილათ განა ასეთი მზრუნველი სჭიროდა კონსტანტინე დადეშქელიანს, რომნელიც, როგორც დავინახეთ, სულ სხვა ჯურის კაცი იყო! უზარმაზარი, მშვენიერი ტანადი და მოყვანილი, ლამაზი ქერა, გოლიათისებურის ძალ-ღონისა, ასე ოცდათის წლისა, დადეშქელიანი ერთი მოთმინების ფიალა აღევსოთ, მეტად ძნელია ხოლმე; მაგრამ თუ კი ერთი მოთმინების ფიალა აღევსოთმ მეტად საშიშნი ხდებიან. ქუთაისში მოხელეებს ბევრს იცნობდა, მათ შორის მე, დაყ ველას უფრო გულკეთილ ადამიანად მიგვაჩნდა, ვიდრე ავგულად. რუსული ლაპარაკი არ იცოდა, მაგრამ კარგთ ესმოდა კი, ასე, რომ მე, რაკი ქართული მესმოდა, შემეძლო მასთან მებაასნა უთარჯიმანოდ: თითოეული ჩვენტაგანი ჩვენს-ჩვენს სამშობლო ენაზე ვლაპარაკობდით და ერთიმეორორისა თავისუფლად გვესმოდა. კონსტანტინე აღზრდილი იყო ნახევრად ველურ წრეში, სიყრმეში გამონაცადი ჰქონდა ისეთი არაჩვეულებრივი განცდა, როგჰორიც იყო მისი მოკვლის განზრახვა, მერე გამოიარა მთელი რიგი სხვადასხვა დაუსრულებელ ხიფათებისა, რომელთა შორის შუღლი, გამცემლობა, სატევარი, საწამლავი, უხეში ძალადობაა, მტაცებლობა, მოკვლა–სულ ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ, რა თქმა უნდა, არ იყო შემოსილი ალმაღლებულის იდეალებითა, მაგრამ კარგი მისწრაფებანი და სარი გონება არ აკლდა. მაგალითად, ძალიან უყვარდა შვილები და ჩემთვის არაერთხელ უთქვამს თავისი განზრახვა – ვილებს (მაშინ სულ პატარები ჰყავდა) საფუძვლიანად უნდა ვასწავლოვო. ძალიან აინტერესებდა ამბები რუსეთისა, პეტერბურგისა, ხელმწიფისა; ვისთანაც საქმე ჰქონდა, იმათი ცნობა შეეძლო, და მეტად პატივსაცერმდა და პატიოსან და სამართლიან ადამიანებს, მზად იყო ასსეთ ადამიანთა სიტყვა შეუბრალებლად ყველაფერში დამორჩილებოდა. სიმპატიურს, პირდაპირს მისის მდგომარეობის და საქმის ვითარების პატიოსნად ამხსნელს კაცს, რომ შეჰყროდა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დადეშქელიანი თვალხუჭელა მიენდობოდა მისს ხელმძღვანელობას და ყოველივე ასე გათავდებოდა, რომ უკეთესი არ შეიძლებოდა. ადვილი იყო მისთვის მიუკიბ-მოუკიბავად გაეგებინებინა კაცს, რომ მისი როლი, როგორც ავტონომიურ მთავრისა საბოლოოდ იყო ნათამაშევი. ამ როლის გაგრძელებაზე ფიქრი ახლა არ შეიძლებოდა, არამედ უნდა შესდგომოდა ამ სამქმის ლიკვციდაციას. თვითონ მამამისსაც ჰქონდა ეს შეგნებული და მისთვის ახალი ამბავი არ იყო. ამიტომ მისთვის პირდაპირ უნდა ეთქვა კაცს ყველაფერი, არაფერი უნდა დაეფარნა და არც შეუსრულებელს რასმე დაჰპირდებოდა. სამწუხაროდ, მისთვის დანიშნული მზრუნველი არამც თუ შაურაცმყოფელ გულგრილობით ეკიდებოდა, არამედ სრულის უგულებელყოფითაც.

ბარტოლომეი, როგორც სპეციალისტი კოლლექტორი და ნუმიზმატი, ფანატიკოსად მხოლოდ ამ დარგში იყო; რომელისამე ძველ ფულის შესაძენად არაფერ ღონისძიებას დაჰზოგავდა, ფულს ხო მარ ჰზოგავდა და არა, თავისი ქონება სწორედ სასანიდების დინასტიების დროის ფულების შეძენას შეალია; ამავე დროს პატივისმოყვარე იყო და სამსახურში წინ წაწევისათვის თავი არ ეზოგებოდა: თავის დამცირება მაგისთვის არაფერი იყო, ოღონდ საწადელს სწეოდა, და მერე, როგორც ადამიანი, მეტად ულმობელის გულისა იყო და ქცევასა და მიხვრა-მოხვრაში რააც სიბოროტე და გესლიანობა ეტყობოდა. ბარიატინსკის მიერ მისთვის დაკისრებული თანამდებობა ძალზე არ მოსწონდა, მისთვის შეურაცხმყოფელადაც – კი ეჩვენებოდა; **„ou m,a fait cornac,** – ეუბნებოდა ხოლმე თავისს მეგობრებს : – **voyez, quel mostodonte je dois promener” !** (სპილოს დამტარებლადაც რომ გამხადეს! ერთი შეხედეთ, რა მამონტი ამკიდეს სატარებლად!)

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეტამორფოზები

თენგიზ კუბლაშვილი

ოსლოში გამართულ ჰომოსექსუალისტების კონკურსში ქართველ ვაჟკაცს დავით ბარამიას ერთხმად პირველი ადგილი მიაკუთვნეს და მისტერ **„გეი-ევროპა-2009“** უწოდეს.

ფრიად მნიშვნელოვანი და საამაყო წოდებაა. როგორც თვითმხილველები გადმოგვცემენ, დამსწრე საზოგადოება ისე მოუხიბლავს შიშველი მუნდის ქნევით, რომ ტაშის გრიალში ბრავოს შეძახილებით აგზნებული ზოგიერთი თავშეუკავებელი გულშემატკივარი სცენაზევე უპირებდა ხმარებას. პოლიციის ძალისხმევით ეს არ მომხდარა, მაგრამ კულისებში რა დღეს დააყრიდნენ ჩვენ კოხტაპრუწას, ამის წარმოდგენას დიდი ფანტაზია არ ჭირდება.

როგორც გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოს“** (№31, 2009) არნო ხიდირბეგაშვილი წერს **„ქართველი გეების, ლესბოსელების, პედარასტების, ბი და ტრანსსექსუალების, მათი მსგავსი უწმინდურების მრავალრიცხოვანი ინტერნეტსაიტების ხილვისას დარწმუნდებით, რომ საქართველო უკვე მთელ პლანეტას უსწრებს არა მარტო ეკონომიკური განვითარების ტემპით...“**

მართლაც, მაგრები ვართ ქართველები! თავს დამცირებულად ვგრძნობ, როცა ერთ კაცს ეძახიან მაგარს. სინამდვილეში ყველა მაგარი ვართ!

ერთი სიტყვით, ევროპის გეი ჩემპიონმა თავისი პოპულარობით (და რაც მთავარია სახმარი ღირებულებით) აშკარად დაგვიჯაბნა მსოფლიოს, ოლიმპიური და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ქართველი მოჭიდავენი, ჭადრაკის დედოფლები...

შეიძლება თუ არა გამარჯვებათა ასეთ კატეგორიას მივაკუთვნოთ ერევნის ოპერის სცენაზე დადგმული მოცარტის ოპერა **„დონ ჟუანი“**, რომლის დამდგმელი რეჟისორი და მხატვარი ინგა გაჩეჩილაძეა.

როგორც ამბობენ, სომხები ტკბებოდნენ მოცარტის მუსიკით და ინგა გაჩეჩილაძის მიერ ტრანსსექსუალურად, ჰომოსექსუალურად, გადაქცეული **„ქართლის დედის“** ჯოჯოხეთში გაფრენით, რომელიც ვიღაც პედარასტებმა გააუპატიურეს... თუმცაღა, ისიც უნდა ითქვას, რომ **„ქართლის დედა“** ამგვარ ძალადობას შეგუებული იყო ჭიაბერაშვილების, რამიშვილების, ლომაიების, ნოდიების და სხვათა და სხვათა აღმზრდელობითი მუშაობით. ამიტომ, მომავალში ჩვენ ბედკრულ **„დედას“** თუ კიდევ რამეს დაუპირებენ, იგი ამას უმტკივნეულოდ გადაიტანს.

იგივე შეიძლება ითქვას სომეხ მაყურებელზე, რომლებიც რეჟისორ ფარაჯანოვის ნატურალური ჰომოსექსუალური სცენების შემყურე, კარგა ხანია შეეგუა ამ უკეთურებას და ამგვარი ცხოვრების წესს თვითონვე **„ფარაჯანირება“** დაარქვეს.

თუ **„ქართლის დედა“** ასეთია, მაშინ არც ის უნდა გაგვიკვირდეს, მისი შვილები, ნახევრადშიშველი ლამაზმანები, ფეხებაპლაკულებს სარცხვინებელი რომ მოუჩანთ ჟურნალ **„თბილისელების“** მიერ დაბეჭდილ ფერად ფოტოებზე, სხვებს უსირცხვილოდ სიძვისკენ რომ მოუწოდებენ!

არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოში არნახულ მასშტაბებს მიაღწია მამაკაცთა გადედლებამ, არა მარტო მათმა უბრალოდ ზურაკოჩებად გადაქცევამ, რაც თავისთავად დიდი ნაკლია, არამედ მათმა აქტიურმა, მებრძოლმა სულისკვეთებამ გეის ინსტიტუტის ჩვენთან დასამკვიდრებლად.

თამამად შეგვიძლია ვთქვათ: პირველად საქართველოში დიდ წარმატებას მივაღწიეთ სოროსის ნაბიჭვარი **„თავისუფლების ინსტიტუტის“,** პირადად რამიშვილის, ნოდიას, დარჩიაშვილის, თევზაძის და სხვათა თავდადებული მოღვაწეობის წყალობით.

დღეს ქართველებმა დავძლიეთ კავკასიელთათვის დამახასიათებელი კომპლექსი, თავი დავაღწიეთ ისეთ მავნე ატავიზმებს, როგორიც არის სირცხვილ-ნამუსი, ერთგულება, პასუხისმგებლობა, თანალმობა, თავგანწირვა...

ერთი სიტყვით, შუა საუკუნეების კაი ყმიდან კაი გეისკენ მეტამორფოზის მტკივნეული პროცესი წარმატებით გადავიტანეთ და ფინალს ვუახლოვდებით!

მახსოვს სკოლაში ნასწავლი: ერთმა ტიპიურმა კავკასიელმა მეგობრის ცოლს მკერდზე თითი იძულებით შეახო და ეს თითი მეგობრის თვალწინ ხანჯლით მოიკვეთა.

რა ბარბაროსობაა! განა ევროპელი ამას გააკეთებს? ჩვენ კი ჭირვეული ბავშვივით დაგვიჩემებია — ევროპელი ვარ და გინდა თუ არა ნატოში გაგვაწევრიანეთო!

არა, ბატონებო, ასეთ ჩამორჩენილებს ნატოში ვინ მიგვიღებს?

ამიტომ, ოსლოში გამარჯვებულ მისტერ გეი ბარამიას დიდ წარმატებას სულით და გულით ვულოცავ, მისი დამსახურებაა ევროპასთან ინტიმური დაახლოება. მასთან ერთად ლოგინში ანცობა უტყუარი გზაა დიადი მიზნის მისაღწევად.

მაგონდება პოეტის სიტყვები: სიყვარულო ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ მონებდესო!.. ევროპას რა ღმერთი უწყრება! ხვევნა-კოცნა მტლაშა-მტლუშის შემდეგ ნატოსთან შემავალ კარს ფართოდ გაგვიღებენ, თან რომ გვასიამოვნონ დამტვრეული ქართულით შეგვიპატიჟებენ: ანტრე, ბატონო!

კარგად უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: იქ ნატო და კატო არ დაგვიხვდება! დაგვხვდება მოსიყვარულე ცოლ-ქმართა ბედნიერი წყვილები: მისტერ ჯო და მაიკლი! მუსიე ფრანსუა და მიშელ! მემ ჯესიკა და სარა! მადამ ანჟელიკა და კლოტილდა! ჰერრ ოტტო და ვერტერ! ფრაუ ლუიზხენი და გრეტხენ და სხვანი მრავალნი...

საოცარი ხალხია მასონები! მიზნის მისაღწევად განსაკუთრებულ ყურადღებას სექსს ანიჭებენ!

ბოლშევიკების დეკრეტით ქალი საერთო სახალხო საკუთრებად გამოაცხადეს. ყოფილ ქმარს (სხვებსაც) უფლება ჰქონდათ კვირაში ოთხჯერ ესარგებლა **„საერთო სახალხო საკუთრების ეგზემპლარით“** და თითო მისვლაზე 45 წუთი იყო გამოყოფილი (არც მეტი არც ნაკლები), თანაც მოსარგებლეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოსგან ცნობა უნდა ჰქონოდა იმის შესახებ, რომ იგი მუშათა კლასის წარმომადგენელი იყო. ბურჟუა კი ქალით, როგორც სახალხო საკუთრებით ვერ ისარგებლებდა.

ტროცკის ეს დიდებული პროექტი სამწუხაროდ ჩაფლავდა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა კაცობრიობის ნათელი მომავლის კომუნიზმის დამყარებაზე. უფრო მეტიც შეიძლება ვთქვათ, რომ ამ პროექტის განუხორციელებლობამ საბედისწერო როლი ითამაშა: კომუნიზმი არ გვეღირსა — მაშინაც ბლომად იყვნენ შტრეიკბრეხერები, ბნელეთის მოციქულები, უიმედოდ ჩამორჩენილები და ოჯახის სიწმინდეს ჯიუტად იცავდნენ.

ძველსა და ახალ პროექტებს შორის საერთო სექსია. განსხვავება კი ის არის, რომ თუ გასული საუკუნის 20-იან წლებში დეკრეტებით და ძალადობრივად ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, ეხლა ყველაფერი ნებაყოფლობითია. სახელმწიფო და ეკლესია რუდუნებით ზრუნავს, რომ მტკიცე ოჯახი შეიქმნას. არც ბავშვის გაჩენაა პრობლემა. მთავარია წყვილიდან ერთ-ერთმა დედობა გადაწყვიტოს, მას მუცელში ემბრიონს ჩაუნერგავენ, ცხრა თვის შემდეგ გაჭრიან და საღსალამათ პირმშოს ბედნიერ **„დედას“** კალთაში ჩაუგორებენ.

მხოლოდ ეგ არის, მოშიებული ახალშობილი ინსტინქტურად ტუჩების ცმაცუნით ძუძუს რომ დაუწყებს ძებნას... პირში რას ჩაუდებენ?

...საზარელი სურათია!

ბუნებრივია ასეთი ბავშვი ვერ წარმოთქვამს ღვთიურ სიტყვებს: სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა!..

მიზანი მიღწეულია! ასეთი კაცობრიობა სურთ გლობალისტებს და მათგან მოსყიდული, სატანაზე სულგაყიდული ქართველები ამ მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობენ. თავსაც იმართლებენ, მიზანი ამართლებს საშუალებასო. მიზანი კი დიადია: უგროვნებო კაცობრიობა ზნეობის გარეშე, მასობრივი ფსევდოკულტურა, ჰედონიზმი, მამონასადმი თაყვანისცემა, ერთი მთავრობა და აღსაყდრებული ანტიქრისტე!

დიდი ილია ლექსში **„ბედნიერი ერი“** ჩამოთვლის ქართველთა მანკიერებებს, მაგრამ ნახსენები არა აქვს ლესბოსელობა, პედარასტობა, ჰომოსექსუალიზმი, სოდომ-გომორის ცოდვა, როგორც ჩანს მაშინ ეს თვისებები გვაკლდა. დღეს კი ნამდვილად სრულყოფილი ბედნიერი ერი ვართ, რადგან რაღაც ორი ათეული წლის მანძილზე არა თუ ავითვისეთ თანამედროვე ევროპის მიღწევები, არამედ თვით ჰოლანდიელებსა და ინგლისელებს მოვუჯოკრეთ, რისი დადასტურება ოსლოში გამარჯვებული გეი ქართველი მზეჭაბუკი გახლავთ!

**რანი ვიყავით**

ოთხმოცდაათიოდე წლის წინ მასონლეიბა ტროცკის პროექტი **„ბნელეთის მოციქულებმა“** ჩააგდეს. რატომ არ შეიძლება იგივე განმეორდეს და გლობალისტების მიერ თავსმოხვეული სოდომ-გომორის ცოდვას წინ აღვუდგეთ? მართალია, მათგან ქებულ დემოკრატიას ამით უზრდელურად წიხლს ვკრავთ, მაგრამ ჩვენ ხომ ჩამორჩენილი უმრავლესობა ვართ? ღმერთი შეგვინდობს!

მთავარია გვახსოვდეს ვისი გორისანი ვართ, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, რა ცივილიზაცია, რა კულტურა შექმნეს და რა დაგვიტოვეს.

მთავარია პრაქტიკულად ვაკეთოთ ის საქმე, რაც ძველი იბერიის მინავლებულ ნაკვერჩხალს ააგიზგიზებს და მისი ნათელი, დასაღუპად განწირულ ერს ხსნის გზას უჩვენებს.

გერმანელი მეცნიერი ჰუმბოლტი პირინეის ნახევარკუნძულის მოსახლეობის ეთნოგენეზისის კვლევამ იმ დასკნამდე მიიყვანა, რომ პირინეიზე (ოკეანეში ჩაძირულ ატლანტაზე, რასაც პლატონიც მოიხსენიებს, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, იტალიაში, თანამედროვე საბერძნეთში, ეგეოსის ზღვის აუზში, მცირე აზიაში ცხოვრობდნენ პროტოიბერები, ანუ ჰუმბოლტის მოსაზრებათა ჭეშმარიტება დაადასტურა შლიმანის, დორფფელდის, ბეგენის არქეოლოგიურმა გათხრებმა, თანამედროვე ლინგვისტურმა კვლევებმა.

დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ ბასკები, ეტრუსკები, პელაზგები, შუმერები, მონათესავე ენებზე მეტყველებდნენ და რომ მონათესავე ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობა იბერიულ-კოლხური მოდგმისანი იყვნენ.

ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ შუმერებმა, ანუ კოლხ-იბერებმა, პროტოკავკასიელებმა საკაცობრიო ცივილიზაციის აკვანი დაარწიეს.

პროტოიბერთა მოდგმის დაკნინებამ, მათ საცხოვრისზე ინდოევროპელ ტომთა გაბატონებამ, კონკრეტულად ელინთა გაბატონებამ, შეაჩერა ძველი ცივილიზაციის განვითარება. ელინებმა აითვისეს ავტოქტონი მოსახლეობის ბრწყინვალე კულტურა და სათავე ახალ ცივილიზაციას დაუდეს.

გაბატონებულმა ელინთა ტომებმა თანდათანობით შეცვალეს ნათელხილვური, ინტუიციური აზროვნება მატერიასთან მიჯაჭვული აზროვნებით. ახალი ტიპის აზროვნებით დაღდასმული კულტურა და ცივილიზაცია გახდა კაცობრიობის შემდგომი განვითარების ბედისწერა.

ძველი ელინები აგრძელებდნენ ავტოქტონი მოსახლეობის სულიერი ინიციაციის გზას, მაგრამ მათი აზროვნების მატერიასთან მიჯაჭვამ ინიციაციური კულტურის, მისტერიების დამახინჯება გამოიწვია. **„ათინამ-სიბრძნემ და ბედისწერამ საბურველი ჩამოიფარა და იმ ხალხს დაემალა, ვინც ამახინჯებდა მისტერიებს, შეურაცხყოფდა ბრძენთ და ღმერთებს და ბაქოსის თეატრში გათამაშებული არისტოფანეს საეჭვო გემოვნების ფარსებით ტკბებოდა. დაკნინდა მისტერიუმიც და ელევსინის დღესასწაულებში სიკოფანტიები და კურტიზანი ქალები მონაწილეობდნენ... როცა აზრი მისტერიაში იჭედება, ფილოსოფია სკეპტიციზმს უახლოვდება... ცრუმორწმუნე რელიგიით, აგნოსტიკური ფილოსოფიით, ეგოისტური პოლიტიკით და ანარქიით გაბრუებული ქვეყანა — აი რად იქცა ის საოცარი საბერძნეთი, რომელმაც უმშვენიერესი სახით გადმოგვცა ეგვიპტური მოძღვრებანი და აზიის მისტერიები“** — წერს რელიგიების ცნობილი მკვლევარი ედუარდ შიურე (ჟურნალი **„აფრა“** №2, 1997წ).

ძველი ბერძენი ფილოსოფოსები ობიექტური სინამდვილის საწყისად მატერიას მიიჩნევდნენ: ხან წყალს, ხან ცეცხლს, ჰაერს, ატომს... ამიტომ ვერ ჩაწვდნენ მატერიალური საგნის მიღმა არსებულს. არადა არსებობდა სიბილას წიგნები, სადაც სულიერი სიბრძნე იყო გადმოცემული. ეს წიგნები ეტრუსკელმა ბრძენმა მეფე ნუმამ რომაელებს გადასცა, სადაც ხანძარმა დაწვა და კოლხ-იბერთა სულიერი სიბრძნეც დაიკარგა. **„მან რომში ჩამოიტანა სიბილას წიგნები, რომლებშიც ჰერმეტული მეცნიერება იყო აღწერილი... მეფე ნუმა არ არის რომის პირმშო, იგი შექმნა ეტრუსკელმა ხელდასმამ, რომელიც მემფისის და ლეფოს ნაკვალევს მიყვება“** — წერს შურიე.

განსხვავებით ევროპელებისგან, ძველი ქართველი ფილოსოფოსები აგრძელებდნენ წინაპართა გზას, მათი მოძღვრების დედაარსია სულიერი საწყისის წარმმართველი ძალა ყოფიერებაში. ლოსევი ევროპულ და ქართულ ნეოპლატონიზმის შედარებისას დიდ განსხვავებას ხედავს.

ქართულ ნეოპლატონიზმს ანთროპოცენტრიზმის პრობლემა წინაა აქვს წამოწეული, მაგრამ განსხვავებით ევროპული ნეოპლატონიზმისგან იგი ბუნებას, კოსმოსს ადამიანს არ უმორჩილებს. ქართული ნეოპლატონიზმი აღიარებს ბუნების სულიერ საწყისს და აბსოლუტის შემეცნების შესაძლებლობას, განსხვავებით ევროპულისგან, რომელიც აბსოლუტური სულის შემეცნების შანსს გამორიცხავს.

კოლხ-იბერთა ამგვარმა მსოფლაღქმამ, ადამიანის და ბუნების ამგვარმა ფილოსოფიურმა გააზრებამ, პროტოიბერთა სულიერმა, ადამიანის და ბუნების ამგვარმა ფილოსოფიურმა გააზრებამ, პროტოიბერთა სულიერმა, გენეტიკურმა მემკვიდრეობამ შეაძლებინა ჩვენს ერს შეექმნა განუმეორებელი, ბრწყინვალე, ღვთიური **„ჩაკრულო“ და „ოდოია“, „ვეფხისტყაოსანი“, „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“, სვანური „ზარი“ და „ლილეო“, „ხორუმი“ და „სულიკო“, საეკლესიო საგალობლები“...**

კათოლიციზმმა, პროტესტანტიზმმა, მატერიალისტურმა ფილოსოფიამ საბედისწეროდ უარყვეს ძველი ცივილიზაციის სულიერი, ინიციაციური განვითარების გზა, აღმოსავლური მართმადიდებლობა და დღეს გაუცხოებული, ნივთების და სხეულის მოთხოვნილებათა მონად გადაქცეული ადამიანი ადამიანურობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დააყენეს.

შპენგლერის ნაშრომი **„ევროპის დაისი“**-ც კი სრულყოფილად ვერ ასახავს იმ მოვლენებს, რაც ევროპის ხალხებს მასონებმა თავს მოახვიეს.

**ნუ დაკარგავ ძველსა გზასა**

ჰეგელი **„გონის ფილოსოფიაში“** როცა რასებს ახასიათებს, წერს: **„კავკასიურ რასაში აღწევს გონი აბსოლუტურ იგივეობას თავისთავთან. აქ შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესობას შორის, აღწევს თავისთავის განსაზღვრას, თავი თვითობის განვითარებას და მით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს...“** მსოფლიო ისტორიის პროგრესი **„მხოლოდ კავკასიური რასის გზითღა შეიძლება“.**

ასეთია დიდი გერმანელი მოაზროვნის შეხედულება კავკასიურ რასაზე, კონკრეტულად ასახელებს ქართველებს და ჩერქეზებს.

ბევრ კარგ ევროპელს (კ. გამსახურდიას ტერმინია) გაცნობიერებული აქვს ევროპის და ამერიკის დღევანდელი ვითარება, სულიერი დაცლა, ზნეობრივი დეგრადაცია, გაუცხოება. იბრძვიან ამ მძვინვარე უკეთურებათა წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მოკავშირეებს ეძებენ.

მახსოვს, კომუნისტურ ეპოქაში, სამიოთხი ათეული წლის წინ, თითო-ოროლა უცხოელი სტუმარი, ძირითადად კულტურის მოღვაწენი თუ გვეწვეოდა, აღტაცებულნი ლაპარაკობდნენ არა ჩვენი მატერიალური კეთილდღეობის, კომფორტის, გზების, საზოგადოებრივი ტუალეტების შესახებ, არამედ ჩვენი ცხოვრების წესზე, ტრადიციებზე, სტუმარ-მასპინძლობაზე, ოჯახის სიმტკიცეზე, კეთილშობილებაზე, ფიზიკურ და სულიერ სილამაზეზე...

ღმერთმა თავისუფლება მოგვანიჭა და როგორც სულმნათი ზვიადი მოგვიწოდებდა ქრისტესა და ბარაბას გზიდან ავირჩიოთ ქრისტეს გზა!

წინ აღვუდგეთ და ლაგამი ამოვდოთ წვრილფეხა ეშმაკუნებს — მთავარი უხსენებლის ბუდის ნაყარს!

სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** და გაზეთი **„ილორი“** ღირსეულად მიჰყვებიან ავბედითი ქარტეხილებით ნაკვალევად ქცეულ წინაპართა გზას.

კადნიერებაში არ ჩამომერთმევა თუ გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას.

ვფიქრობ, დროა სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** გარდაიქმნეს პოლიტიკურ პარტიად საქართველოს ძველი სახელწოდებით **„იბერია“**.

ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ, მათმა ლიდერებმა ვერ გაამართლეს მოსახლეობის იმედი. ეროვნული ხელისუფლების დამხობისთვის წინაპირობების შექმნა, სამხედრო კრიმინალურ დამხობაში უშუალო მონაწილეობა, წლების მანძილზე შევარდნაძესთან თანამშრომლობა, ანუ მონაწილეობა საქართველოს დაქცევა-გაპარტახებაში, უპრინციპობა, პოლიტიკური სიმწიფის უქონლობა, მიდრეკილება თეატრალიზებული საპროტესტო აქციებისადმი, ურთიერთშეუთანხმებლობა, უნიათობა, გარიგებების მცდელობები ხელისუფლებასთან, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამების არ არსებობა... აი, მათი ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომელთა გამოც ოპოზიციას მოსახლეობის დიდი ნაწილი აღარ ენდობა.

ასეთ ვითარებაში აუცილებელია პოლიტიკურ არენაზე გამოჩნდეს ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც ერის წინაშე წარსდგება სუფთა წარსულით, წრფელი გულით, ეროვნული იდეოლოგიით და ამ იდეოლოგიის შესაბამილი მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით. ასეთ პოლიტიკურ ძალად მესახება სახალხო მოძრაობა **„სამეგრელო“** ახალი სახელით **„იბერია“**. საქართველოს პრეისტორიული სახელის აღდგენას, როგორც ბატონი როლანდ ჯალაღანია აღნიშნავს საკრალური მნიშვნელობა ექნება.

იბერია აერთიანებს როგორც საქართველოს ყველა კუთხის შვილებს, ასევე ჩვენს ნათესავებს, ჩვენს ძმებს, ისტორიის ბედუკუღმართობით ერთმანეთისგან დაშორებულ იბერიელ-კავკასიელებს: ლაზებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ინგუშებს, ფერეიდანში და თურქეთში მცხოვრებ მრავალმილიონ გურჯებს...

**„იბერია“** შესძლებს ჩვენი ერისთვის აუცილებელ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მესიანური იდეის აღორძინებას და ამ იდეის გარშემო კოლხ-იბერთა მოდგმის დარაზმვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადააქცევენ თუ არა საქართველოს მსოფლიო ბინძური პრობლემების სანაგვე ორმოდ?

არმაზ სანებლიძე

*ახლა მე ერთ ციტატას შემოგთავაზებთ უცხოური პრესის პუბლიკაციიდან (დაგ ბენდოუ, „დადგა დრო, როცა ვაშინგტონმა საზღვარგარეთ ნაკლებად უნდა იაქტიუროს“) და თქვენ, ჩვენო მკითხველო, შეეცადეთ, გამოიცნოთ, ვისზეა ლაპარაკი:*

*ერთგვარი ტესტია.*

*„მისი... გეგმები (ლაპარაკია წინასაარჩევნო პროგრამაზე) სტანდარტული ჩამონათვალისგან შედგებოდა... უნდა დააშინოს მტრები, მოაგვაროს კრიზისები, კონფლიქტები, დაიცვას მეგობრები, ჩაატაროს მოლაპარაკებები, თავიდან აიცილოს ომები, შეებრძოლოს დაავადებებს, დაამკვიდროს კეთილდღეობა და ა.შ.“*

თუ ვერ გამოიცანით, განვაგრძობ: „ჩვეულებრივ, ასეთ ამოცანებს დასასრული არ აქვს და წარუმატებლობათა ნუსხა ისეთივე გრძელია, როგორც დასახული მიზნების ჩამონათვალი. პრეზიდენტები ისე ტოვებენ თავიანთ ოფისებს, რომ მრავალჯერადად უცრუებენ იმედებს თავიანთ ამომრჩევლებს, არ ასრულებენ უამრავ დაპირებას, ითხოვენ ფულს ექსტრაორდინარული ხარჯებისთვის და ქმნიან შემთხვევითი ომების მიზეზებს“.

გული მიგრძნობს, სააკაშვილზე ფიქრობთ, რადგან ეს სურათი აბსოლუტურად ესადაგება მის მოღვაწეობას საქართველოში.

არადა, შეცდით: ამერიკის პრეზიდენტზეა ნათქვამი – ბარაკ ჰუსეინ ობამაზე. ასე შეაფასეს მისი რვათვიანი მოღვაწეობა აშშ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტზე.

სააკაშვილს, ისევე, როგორც ობამას, **„არჩევნებში საერთაშორისო საზოგადოების პოზიტიური მხარდაჭერა უმაგრებდა ზურგს“**, მისდამი **„ოპტიმისტურმა განწყობამ დაისადგურა“**.

ეს ოპტიმისტური განწყობა თანდათან განელდა და თუ გასულ კვირაში ვაშინგტონში, კონგრესის შენობის წინ გამართული საპროტესტო მიტინგით ვიმსჯელებთ, რომელშიც ობამას ჯანდაცვის რეფორმით ასობით ათასი უკმაყოფილო ამერიკელი მოქალაქე მონაწილეობდა, დავასკვნით, რომ საკმაოდ ძლიერი ნეგატიური დამოკიდებულებით შემოუბრუნდა.

სააკაშვილის საწინააღმდეგოდ აგორებული სახალხო მღელვარების ტალღაზე არაფერს გეტყვით, რადგან თქვენ თვალწინ ხდებოდა ყველაფერი.

საოცარია, შეიძლება, არცაა საოცარი და გასაკვირი, რომ ობამას პოპულარობის დაცემას და სააკაშვილის დაბალ რეიტინგს ერთი და იგივე მიზეზები განაპირობებს.

ავმაღლდით აშშ-ის დონემდე!

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ აშშ ადმინისტრაციის დღევანდელი პრიორიტეტი ავღანეთია, სადაც მდგომარეობა უფრო და უფრო რთულდება, სამხედროები ძალების დამატებას ითხოვენ.

ამერიკის ევროპელი მოკავშირეები ადასტურებენ ავღანეთის ოპერაციის მნიშვნელობას, მაგრამ უარს ამბობენ სამხედრო ძალებისა და რესურსების ამ პრობლემისათვის შელევაზე. დიდი ბრიტანეთი თავის კონტინგენტის შემცირებაზეც ალაპარაკდა.

ჩვენი ხელისუფლება **„შებრუნებული ვალეტივითაა“** – მზადაა სამხედრო კონტინგენტის გასაგზავნად, მაგრამ ვერ ასაბუთებს, რატომ უნდა გააკეთოს ეს საქართველომ.

კია სხვა სხვისა ომში ბრძენი, მაგრამ ეს აფორიზმი ამ შემთხვევას არ ესადაგება, ეს ერთი, და, მეორე, ვის სიბრძნესა და ვისი არგუმენტების უტყუარობაზე ლაპარაკობთ?!

არის საერთო კალაპოტიდან ამოვარდნის შემთხვევებიც, რაც აბსოლუტურად გაუგებარია, რადგან ურთიერთგამომრიცხავია.

ობამას რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვა აქვს განზრახული და ნაბიჯ-ნაბიჯ აქეთ მიიწევს. სააკაშვილი აძლიერებს კონფრონტაციულ რიტორიკას და სულ უფრო მეტად სცილდება იმ ზღვარს, რომლიდანაც შესაძლებელია პოლიტიკის ასე თუ ისე შემობრუნება, თანამშრომლობის აღდგენა და ამიტომაა, რომ საქართველო ერთიანად საზღვრისპირა ქვეყანად არის ქცეული, რომელსაც მუდმივი თავდასხმის საშიშროება ემუქრება.

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია საქართველოში, როგორც უკრაინაში, უკეთესი მმართველობის მოსასვლელად ხელშეწყობისთვის იხარჯება. მაგრამ არც იუშჩენკო და, რა თქმა უნდა, არც სააკაშვილი წასვლას არ აპირებენ.

ჯო ბაიდენის ვიზიტმა, ფაქტობრივად, არაფერი შეცვალა. ამერიკის ემისრის ჩამოსვლა საქართველოში პიროვნულ გაკისკასებას უფრო ჰგავდა, ვიდრე საქართველოს პრობლემების მოსაგვარებელ სახელმწიფო ვიზიტს.

ამბობენ, ბაიდენის თბილისურ გამოსვლებში ბევრ რამეზე ქვეტექსტებში იყოო მინიშნება. მინიშნება კი არა, ფეხსაცმელი შუბლში ხვდებათ და კონკიას დაკარგულ ქოშად გვისაღებენ, სახალხო სიყვარულის გამჟღავნებად.

**„საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ვერც გასული წლის სამხედრო მარცხმა და ვერც მზარდმა შიდა პოლიტიკურმა არეულობამ ვერ მოდრიკა. კიევში პოლიტიკური ცხოვრება საპნის ოპერის დონეზეა და ამერიკის ფავორიტი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო მომავალი წლის არჩევნებში ხელის ცეცებით მიიკვლევს გზას დამარცხებისკენ“**, – წერენ საქმეში ჩახედული ჟურნალისტები

მოკლედ, საქართველოსთვის მიცემული არც ერთი რჩევა არ მუშაობს, ისევე, როგორც უეფექტოა აშშ-ს ზემოქმედება ისრაელზე, სანქციები ირანის წინააღმდეგ და ა.შ. ხოლო საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაერთიანება, რისი თავგადადებული ინიციატორიც და აქტიური მხარდამჭერიც აშშ იყო, ისეთივე **„დაკარგული ილუზია“** გამოდგა, როგორც ავღანეთის ნარკოტიკებისგან გაწმენდა ან ერაყში მშვიდობის დამყარება.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ამერიკა აღმოსავლეთ ევროპაში თავის აქტიურობას ამცირებს, ყოფილ სოციალისტურ ბანაკში კი **„მხურვალე ატლანტიზმით“** განხიბვლა მატულობს. დღეს დასავლეთი ევროპა უფრო პროამერიკული და პრონატოურია, ვიდრე ევროპის აღმოსავლეთის ქვეყნები.

თუ, ერთი მხრივ, ბარაკ ობამას აშშ ადმინისტრაციის სათავეში მოსვლამ დასავლეთ ევროპაში ამერიკის იმიჯზე ფრიად დადებითად იმოქმედა, სამაგიეროდ, აღმოსავლეთ ევროპის ნატოს წევრ ქვეყნებში (მაგალითად, პოლონეთი, რუმინეთი) საპირისპირო პროცესი შეიმჩნევა. შემთხვევითი არ იყო, რომ დისიდენტური მოძრაობის ისეთმა აღიარებულმა ლიდერებმა, თავიანთი ქვეყნების პირველმა პრეზიდენტებმა ვაცლავ ჰაველმა და ლეხ ვალენსამ, სხვებმა ღია წერილით მიმართეს აშშ ადმინისტრაციას ტრანსატლანტიკური კავშირების დაკნინების გამო.

ასეთი განწყობის ერთ-ერთი მიზეზი ბარაქ ობამას ადმინისტრაციის მიერ ჩეხეთსა და პოლონეთში სარაკეტო-თავდაცვითი სისტემის განთავსების დამუხრუჭებაა.

ამას რუსეთისადმი დათმობად მიიჩნევენ. პოლონეთი მისდამი უდიერ დამოკიდებულებად თვლის იმასაც, რომ აშშ ადმინისტრაციამ მეორე მსოფლიო ომის დაწყების 70 წლისთავის აღსანიშნავად 1 სექტემბერს ამ ქვეყანაში გამართულ ღონისძიებაზე მეორეხარისხოვანი ჩინოვნიკები გააგზავნა მაშინ, როცა რუსეთიდან და გერმანიიდან უმაღლესი რანგის ხელმძღვანელები ჩავიდნენ.

ვითარება დაძაბა უაღრესად ნეგატიურმა ინფორმაციამ, რომელმაც ამერიკიდან გამოჟონა და რომლის მიხედვით, პოლონეთში, ლიტვასა და რუმინეთში განთავსებული იყო საიდუმლო საპყრობილეები, რომელთაც ტერორიზმში ეჭვმიტანილების დასაკითხად იყენებდნენ – **„პატარა გუანტანამოები“**. ეს ინფორმაცია (გაურკვეველია, ტყუილი თუ მართალი) იმდენად მიუღებელი და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდა ამ ქვეყნებისთვის, რომ კატეგორიულმა უარყოფამაც არ დააყოვნა.

სამაგიეროდ, როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ხელისუფლება მზადაა (ან უკვე მისცა თანხმობა), რომ მიიღებს პატიმრებს გუანტანამოდან.

ქართველი ექსპერტები თვლიან, რომ ეს იქნება (ან უკვე არის) დიდი საშიშროების შემცველი საქართველოსთვის, რომელიც აქამდე საერთაშორისო ტერორიზმის ინტერესების სფეროში არ შედიოდა, ახლა კი მისი ყურადღების ცენტრში მოექცევა აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

დავიჯეროთ, რომ ეს თანხმობა სააკაშვილმა პრეზიდენტად მისი დატოვების მხარდაჭერის სანაცვლოდ გასცა?

ხომ არ სურთ, აქციონ ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ბინძური პრობლემების ნაგვის ორმოდ?

ამერიკას საქართველო არ აწუხებს: მილიარდ დოლარად გვიყიდეს (ასე ჩანს) და როგორც პარიზის მოედნებზე ფულის საშოვნელად გამოსულ ჯამბაზებს 5 ფრანკად, სალტო-მორტალეს გვატრიალებინებენ, რომელიც კისრის მოტეხვით შეიძლება დამთავრდეს.

ამერიკა დღეს გერმანიისა და იაპონიის პრობლემებითაა შეწუხებული. გერმანია კანცლერის არჩევნებით არის დაკავებული და როგორც ამ უმაღლეს თანამდებობაზე გერჰარდ შრედერის 2002 წელს არჩევას ხელი შეუწყო ერაყის ომის წინააღმდეგ მისმა ორგანიზებულმა კამპანიამ, ბერლინში უკვე გაისმის მემარცხენეთა მოწოდებები პარლამენტის რიგგარეშე სესიის მოწვევაზე, რომელზეც ავღანეთში გერმანიის როლის გადახედვის საკითხები უნდა განიხილონ.

მერკელი, ამჟამინდელი კანცლერი, ორ ცეცხლს შუა მოექცა, რაც მის ხელმეორედ გამარჯვებას საეჭვოს ხდის. სპეციალისტების დასკვნით, თუ ფრაუ ანგელა თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა, სავსებით შესაძლებელია, რომ გერმანიის სამხედრო კონტინგენტი ავღანეთიდან გამოვიდეს.

არეულ-დარეული ავღანეთი კი, როგორც ვთქვით, ობამას ადმინისტრაციის პრიორიტეტული მიმართულებაა.

იაპონიის დემოკრატიული პარტია აცხადებს, რომ შეეცდება, ამერიკისგან დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს.

ეს ორი მომენტი – გერმანიისა და იაპონიის ინტერესები – ის რისკფაქტორია, რომელთა გამო, როგორც ექსპერტები ამბობენ, შესაძლოა, ობამა საერთაშორისო არენაზე აბსოლუტურად განსხვავებული რეალობის წინაშე აღმოჩნდეს: ამერიკა ორი ტრადიციული მოკავშირის გარეშე შეიძლება დარჩეს.

აი, ასე: საქართველო ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბში გადაეშვება, ევროპა კი, ჩანს, გამოსავლის სტრატეგიას ეძებს: დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია ავღანეთის საკითხზე გაეროს კონფერენციის მოწყობის ინიციატივით გამოდიან, რათა ძალაუფლების დიდი წილი ქაბულს გადაეცეს.

მაგრამ ავღანეთში არჩევნები რომ დიდი გაყალბებით ჩატარდა? დაახლოებით ისე, როგორც საქართველოში?

ჩატარდა და კარგად იყავით, ამაზე გაყალბების ინიციატორები დიდად არ ნაღვლობენ. მათი საწუხარი ამ ბედლამიდან17-ათასიანი საარმიო კონტინგენტის გამოყვანაა. პრეზიდენტმა ყარზაიმ თავი იმტვრიოს იმაზე, რაც ამის შემდეგ იმ ქვეყანაში დატრიალდება.

ოდესმე შეიძლება იქ ყველაფერი დაწყნარდეს, თუ მანამდე ჩვენი ჯარისკაცები არ შევაკალით **„საქართველოს ინტერესების დაცვას“** შორეულ ავღანეთში.

## ამერიკაში მილიარდერები კოტრდებიან

ჟურნალმა „**Forbes**“-მა აშშ მილიონერთა ქონება გადაითვალა და დაადგინა, რომ მხოლოდ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ყველაზე მდიდარი ამერიკელების ქონებიდან 300 მილიარდი დოლარი მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეიწირა. ჟურნალმა ტრადიციულად შეადგინა ამერიკის 400 უმდიდრესი ადამიანის სიაც. თუ გამოცემის მონაცემებს დავუჯერებთ, სიაში მოხვედრილი 400 უმდიდრესის საერთო ქონება 1,57 ტრილიონი დოლარიდან 1,27 ტრილიონამდე ჩამოვიდა. მდიდრების **„გაღარიბებას“**, რასაკვირველია, აქვს კონკრეტული მიზეზები, თანაც – არაერთი: კაპიტალის ბაზრების მძიმე მდგომარეობა, უძრავ ქონებაზე ფასების ვარდნა, განქორწინებები და ჩვეულებრივი თაღლითობები. ამ ყველაფერმა კი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ 314 მილიარდერი გაღარიბდა, 32 კი საერთოდ ვეღარ მოხვდა უმდიდრესთა სიაში.

ყველაზე მეტად შტატებში სიმდიდრით მეორე ადგილზე მყოფი უორენ ბაფეტი დაზარალდა. მისი კომპანიის „**berkSir hataueis**“ აქციების ფასმა ერთ წელიწადში 20%-ით დაიკლო. ამით კომპანიის მფლობელის ქონება 10 მილიარდი დოლარით შემცირდა. ახლა ბაფეტს მხოლოდ 40 მილიარდი დოლარიღა აქვს.

იმავე მიზეზების გამო 7 მილიარდი დოლარი დაკარგა ამერიკის უმდიდრესმა ადამიანმა, კომპანია „**Microsoft**“-ის დამაარსებელმა ბილ გეიტსმა, რომელიც ამჟამად 50 მილიარდს ფლობს.

„**Forbes**“-ის პირველმა ათეულმა, რომლის შემადგენლობაში სხვებთან ერთად საცალო ვაჭრობის გიგანტ „**Wal-Mart**“-ის მფლობელი უოლტონების ოჯახის ერთბაშად ოთხი წევრი და ნიუ-იორკის მერი მაიკლ ბლუმბერგიც მოხვდნენ, გასული საანგარიშო წლის განმავლობაში 40 მილიარდი დოლარი დაკარგა.

სათამაშო ბიზნესის მეფემ, მილიარდერთა სიის ბინადარმა კერკ კერკორიანმა 8,2 მილიარდი დოლარი დაკარგა, 7 მილიარდს გამოემშვიდობა ავტომანქანების გამქირავებელი ფირმა „**Rent-A-Car**“-ის დამაარსებელი ჯეკ ტეილორი.

სამაგიეროდ, ბანკირმა ენდრიუ ბილმა მოახერხა და ამ ძნელბედობის ჟამს გაისამმაგა ქონება. მან გასულ შემოდგომაზე იაფად შეიძინა აქტივები და ვალდებულებები და ახლა 4,5 მილიარდის მფლობელია.

ერთ-ერთი, ვინც გასულ წელს გამდიდრება მოახერხა, ფინანსისტი ჯორჯ სოროსიც გახლავთ. მისი აქტივები 2 მილიარდით გაზრდის შედეგად 13 მილიარდს გაუტოლდა. ახლა მათი მფლობელი სიაში მეთხუთმეტე ადგილზეა.

დაბოლოს, მხოლოდ სიის ბინადართა ქონება კი არა, თავად მილიარდერთა სიაც **„გაღარიბდა“**. 400 უმდიდრესს შორის მოსახვედრად კანდიდატს, სულ მცირე, 1,3 მილიარდი დოლარი მაინც უნდა ჰქონოდა, წლევანდელი მინიმუმი კი სულ რაღაც 950 მილიონი იყო.



გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები" გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

### ათი ლეგენდარული მატჩი

# სტენლი და სტენლი

**1953 წლის 2 მაისი**

**"უემბლი"**, ლონდონი, ინგლისის თასის ფინალი.

**"ბლექპული" – "ბოლტონი"** – 4:3 (1:2)

(მორტენსენი 35, 68, 89, პერი 90, ლოფტჰაუსი 2, მოირი 41, ბელი 55). 100.000 მაყურებელი, მსაჯი : გრიფიტსი (უელსი).

**"ბლექპული":** ფარმი, შიმველი, გარეტი, ფენტონი, ჯონსტონი, რობინსონი, მეტიუზი, ტეილორი, მორტენსენი, მუდი, პერი.

**"ბოლტონი":** ჰენსონი, ბოლი, ბენქსი, უილერი, ბარასი, ბელი, ჰოლდენი, მოირი, ლოფტჰაუსი, ჰესელი, ლენგტონი.

38 წლის სტენლი მეტიუზმა გადატრიალება მოახდინა ფეხბურთის ისტორიაში. მან ორჯერ დაიმსახურა ოქროს მედალი, როგორც ინგლისის საფეხბურთო თასის გამარჯვებულმა, და ეს მაშინ, როცა მისი გუნდი ორივეჯერ უიმედოდ აგებდა შეხვედრას ორი ბურთის სხვაობით. მან გუნდის დახმარება შესძლო მაშინაც, როცა იგი მატჩს სამი ბურთით აგებდა და სწორედ მეტიუზის თავდადებამ გაამარჯვებინა მის გუნდს. ასეთი რამ **"უემბლის"** სტადიონზე ორჯერ მოხდა. სწორედ მეტიუზის ამგვარმა შეუპოვრობამ და უბადლო თამაშმა დაარწმუნა ინგლისის ფეხბურთის მესვეურები, რომ ხანდაზმული ფეხბურთელი ჯერ კიდევ შესანიშნავ ფორმაში იყო და მისი ჩამოწერა არ შეიძლებოდა. მეტიუზი კვლავ მიიწვიეს ინგლისის ნაკრებში.

1953 წელს შედგა ინგლისის თასის გათამაშების მომდევნო ფინალი. ინგლისის ფეხბურთის ისტორიის განმავლობაში ეს იყო ყველაზე დრამატული მატჩი, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩა მეკარეთა მიუტევებელი შეცდომებით. მატჩის ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში კოჭლობას მოუმატა **"ბოლტონის"** ბომბარდირმა ბელმა, რომელიც ჯერ კიდევ პირველ ტაიმში წააქციეს და ტრავმა მიიღო. ასევე დაშავდა ბენქსი, თუმცა ორივე ფეხბურთელი მაინც მოედანზე დარჩა, რადგან მაშინ ფეხბურთელის შეცვლა ტრავმის შემთხვევაშიც კი არ შეიძლებოდა და ამის კანონი მხოლოს 13 წლის შემდეგ დაამტკიცა საერთაშორისო ფედერაციამ.

ამგვარად, **"ბოლტონის"** მარცხენა ფლანგი მნიშვნელოვნად შესუსტდა. სამაგიეროდ, ფენტონისა და ტეილორის მონდომების შედეგად, **"ბლექპულის"** მარჯვენა ფლანგი გაძლიერდა მნიშვნელოვნად. შედეგიანი სახიფათო გადაცემებით კი ფეხბურთელებს სტენლი მეტიუზი ამარაგებდა.

თამაშის უკანასკნელ წუთებზე სტენლი მორტენსენმა საჯარიმო დარტყმით მესამე გოლი გაიტანა **"ბოლტონის"** კარში და **"ჰეთ-თრიქი"** შეასრულა. მსაჯის მიერ დამატებულ დროში კი გადამწყვეტი გოლი გაიტანა პერმა და **"ბლექპულმა"** ბოლო წუთებში გამოგლიჯა **"ბოლტონს"** გამარჯვება.

**თამაში, რომელმაც ფეხბურთი შეცვალა.**

1953 წლის 25 ნოემბერი.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. **"უემბლი"**, ლომდონი.

ინგლისი – უნგრეთი 3:6 (სიუელი 15, მორტენსენი 37, რამსეი 62 (პენალტით), ჰიდეგკუტი 1,20,56, პუშკაში 22,29, ბოჟიკი 65). მაყურებელი 100.000. მსაჯი: ჰორნი (ჰოლანდია).

ინგლისი: მერიკი, რამსეი, ეკერსლი, რაიტი, ჯონსტონი, დიკონსონი, მეტიუზი, ტეილორი, მირტენსენი, სიუელი, რობი.

უნგრეთი: გროშიჩი, ბუზანსკი, ლანტოში, ბოჟიკი, ლორანტი, ზაკარიაში, ბუდაი, კოშიჩი, ჰიდეგკუტი, პუშკაში, ციბორი.

რატომ იყვნენ ინგლისელები ასე დარწმუნებული საკუთარ თავში? მათ უნდა სცოდნოდათ, რომ უნგრეთის ნაკრებმა, რომელიც ჩამოვიდა ინგლისში ბოლო 31 მატჩში 25 გამარჯვება მოიპოვა, 6 კი ფრედ დაამთავრა. უკანასკნელი ექვსი სეზონის განმავლობაში უნგრელებს მოედანი არ დაუტოვებიათ ისე, რომ გოლი არ გაეტანათ. ინგლისის ნაკრებმა ათამაშა ორი დებიუტანტი, ნაკრების მოთამაშეთა საშუალო ასაკი კი 30 წელი გახლდათ. ისინი ამ მატჩს განიხილავდნენ, როგორც მსუბუქ გასეირნებას უნგრელთა წინააღმდეგ. ინგლისური პრესა ქება-დიდებას ასხამდა თანამემამულეებს, მათ ინფორმაცია არ გააჩნდათ პუშკაშისა და კოშიჩის თაობაზე. **"ჩვენ იოლად დავამარცხებთ მოწინააღმდეგეს, მათ ნორმალური ბუცებიც კი არა აქვთ"** – განაცხადა ერთ-ერთმა ინგლისელმა ფეხბურთელმა მატჩის წინ.

პირველი გოლი უნგრელებმა გაიტანეს – მატჩის დაწყებიდან ორიოდ წუთში ეს ჰიდეგკუტმა გააკეთა, როცა 18 მეტრიდან დაარტყა ბურთი. მეკარემ მას მხოლოდ თვალი გააყოლა. მას შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ უნგრელებს ყოველ წუთს შეეძლოთ ბურთის გატანა. ასეც მოხდა და ინგლისელები 3:6 დამარცხდნენ. ეს გახლდათ მათი პირველი წარუმატებლობა.

ამ მარცხმა სერიოზულად დააფიქრა ინგლისელები, რომელთაც საფეხბურთო მანერის მკვეთრად შეცვლა გადაწყვიტეს, რამაც მომავალში შედეგი გამოიღო. ამ ამბებიდან 13 წლის შემდეგ ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თუმცა მას შემდეგ დიდად ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

**გიორგი ჯალაღანია**



## იუმორი

ქმარმა ცოლს ჩასჩურჩულა:

– საძინებელში ხომ არ შევსულიყავით, ა?

– რას ამბობ, კაცო, ბავშვი სახლშია. უკვე დიდია და როგორ აუხსნი, ამდენ ხანს საძინებელში რას ვაკეთებთ?

– ნუ გეშინია, ბავშვთან საქმეს მე მოვაგვარებ...

მივიდა ბავშვთან და ეუბნება:

– მისმინე, შვილო, შენ ახლა ფანჯარასთან დადექი და გამვლელებს თვალყური ადევნე, ყოველ შავებში გამოწყობილ ადამიანზე ლარს გაძლევ.

გადის ათი წუთი და ბავშვი ეძახის:

– მამი, ლარი!

კიდევ ხუთი წუთი.

– მამი, ორი!.. მამი, გესმის? ნებისმიერი ბოზი უფრო იაფი დაგიჯდებოდა, გასვენების პროცესია მოდის!..

* * *

შეფი მძღოლს ეუბნება:

– ჩემი სიდედრი ჩამოდის... მატარებელს დახვდი და სახლში მიიყვანე... ვიცი, არასასიამოვნო პროცესია და, აი, შენ ოცი ლარი.

– რომ არ ჩამოვიდეს?

– მოდი და ოცს კიდევ დაგიმატებ.

* * *

ქორწინების შემდეგ ნეფე მღვდელთან მივიდა და ეკითხება:

– რამდენი მოგართვათ, მამაო?

– იმდენი, შვილო ჩემო, რამდენადაც მშვენიერია პატარძალი.

მამაკაცმა ჯიბიდან ლარიანი ამოიღო და მღვდელს მისცა. მღვდელი პატარძლისკენ შებრუნდა, ფატა ახადა, ისევ ჩამოაფარა და ნეფეს 50 თეთრი დაუბრუნა.

## ვის მოხვდა თავში ფეხსაცმელი?

*ერაყელ ფეხსაცმელსროლიას მიმდევრები გამოუჩნდნენ. სტამბოლში თურქმა სტუდენტმა საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორს – დომინიკ სტროს-კანას სტუდენტებთან შეხვედრაზე გამოსვლისას თავში ფეხსაცმელი ესროლა. სტუდენტი დაცვამ დარბაზიდან გარეთ გააბრძანა, მაგრამ მეამბოხე ბოლო წუთამდე ყვიროდა: „ქურდო, მოგვშორდი!". როგორც ადგილობრივი პრესა იტყობინება, სტამბოლში ნასროლმა ფეხსაცმელმა მიზანს მაინც ვერ მიაღწია, ამ ინციდენტის შემდეგ კი სტროს-კანმა უნივერსიტეტის შენობა დატოვა.*

ფეხსაცმლის სროლით პოლიტიკოსისადმი უპატივცემულობის გამოხატვის პრაქტიკა მანამდე არაფრით გამორჩეულმა 29 წლის ერაყელმა ჟურნალისტმა მუნტაზერ აზ-ზაიდიმ დაამკვიდრა. შარშან, 14 დეკემბერს, მან მან აშშ მაშინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ბაღდადში გამართული პრესკონფერენციისას თავში ორივე ფეხსაცმელი ესროლა და რომ არა ბუშის სწრაფი რეაქცია, ერთ-ერთს ნამდვილად ვერ აიცილებდა. ჟურნალისტი მაშინ დააპატიმრეს და სამი წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს, მაგრამ შემდგომ ვადამდე გათავისუფლებულ ახალგაზრდას თავის სამშობლოში ჩადენილი გმირობისათვის არნახული პატივი ერგო. როგორც ჩანს, მის სტამბოლელ მიმდევარსაც ამის იმედი ჰქონდა, თუმცა ჯერჯერობით არავინ იცის, როგორ დამთავრდება სტამბოლელი ფეხსაცმელსროლიას ამბავი.





გაზეთი **"საქართველო და მსოფლიო"**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
**"საქართველო და მსოფლიო"!**


## რა გელით, თუ საბჭოთა ოკუპაციას უარყოფთ

ლიტვაში, არც მეტი, არც ნაკლები, დაგაპატიმრებენ.

ლიტვის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხი და ამ ცვლილებების მიხედვით საბჭოთა ოკუპაციის, ასევე, საბჭოთა და ნაცისტური რეჟიმების დანაშაულის უარყოფის შემთხვევაში ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული. **„სსრ კავშირის ან ნაცისტური გერმანიის მიერ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის გამართლებისათვის"** ლიტვაში პატიმრობა, 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა მას შემდეგ დაწესდება, რაც სეიმი კანონპროექტს სამჯერ მოიწონებს.

კანონპროექტის პირველ თავში ნათქვამია, რომ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც ღიად უჭერს მხარს გენოციდს, სამხედრო დანაშაულსა და ლიტვისა და ევროკავშირის სამართლებრივი აქტებით აღიარებულ კაცობრიობის წინაშე ჩადენილ სხვა დანაშაულებებს, ან ვინც უარყოფს და უგულებელყოფს მათ მნიშვნელობას, თუ ამგვარი ქმედება აღვივებს ძალადობასა და ზიზღს გენოციდის, სამხედრო დანაშაულის ან კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლის მიმართ.

მსჯელობისას გამოითქვა **"კომპეტენტური"** აზრი, დაისაჯონ ისინიც, ვინ აქვეყნებს საბჭოთა ოკუპაციის უარმყოფ წიგნებს თუ სტატიებს, მაგრამ გამოიკვეთა საპირისპირო აზრიც, რომ კანონში მსგავსი ცვლილებების შეტანა დემოკრატიის პრინციპებს ეწინააღმდეგება.


| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე | რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930 | მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია<br>მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია<br>ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი | anaklia@web.de<br>e-mail:elisabetthal@yahoo.de<br>რეკლამის განთავსება<br>899-57-33-22<br>72-37-35<br>38-41-97 |